

ԱՅՅՆՈ ՕՆՈՒԾՅ

6

Յ Յ Ո Ւ Ն Ո

1939

ჩვენ თაობა

284
27

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყაფლთვაური ორგანო

6



სახელმწიფო გამომცემლობა
თბილისი
1939 წელი, ივნისი

ზინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

გიორგი კაჭხიძე — ყვავილები აივანზე	83-3
ნინო ქობულაშვილი — სამოქალაქო ომში და- კარგულზე	4
კოტე ხიმშიაშვილი — უძლეველი რიტმი	6
ელიზბარ უბილავა — ოდიშელი წინაპრების მოსაგონარი	17
გიორგი ნაფეტვარიძე — დეპუტატთან	19
ვლ. სულაბერიძე — ჩაილდ-პაროლდის გადარ- ჩენა	20
ალ. კობაღეიშვილი — ღამე ბანაკში	24
ვასილ გოჩოღეიშვილი — ორი ლექსი	26

კლასიკური მემკვიდრეობა

ფრ. შილერი — ბალადა — თარგ. ხარიტონ ვარდოშვილისა	29
ნიკო გვარამე (რესპ. დამსახ. არტისტი) ქარ- თული თეატრის წარსულიდან	36
„დავით ხასუნცი“ (ნაწყვეტი) თარგ. კარლო კალაძისა	45

კრიტიკა

შალვა აფხაიძე — „ლელო“	55
----------------------------------	----

ლიტერატურული კალენდარი

ვლ. ჯიბუტი — სტენდალი	59
---------------------------------	----

ბიბლიოგრაფია

ერ. აბტვაცატუროვი — კონ. ლორთქიფანიძე „უკვდავება“	62
----------------------------------------------------------------	----

პასუხისმგებელი რედაქტორი ირაკლი აბაშიძე
პასუხისმგებელი მდივანი ნიკოლოზ აბიაშვილი

მხატვრული დიპლომატიკა

ფილოზოგი კაჭახიძე

ყვავილანი აივანზე

სიცოცხლეზე გაზაფხულმა კვლავ გვიმღერა,
გაგეახარა ბაღში სიოს ტარებით.
მიწა მორთო, ყელიც კოხტად მოიღერა
და გაუღეს ყველგან ბინის კარები.
გაიხარეს ოთახების ყვავილებმაც,
ზამთარში რომ თვალებს ქერქვეშ მალავდენ.
სახლში ყოფნა ახლა ერთმაც არ ინება,
წამოდგენ და აივნებზე დალავდენ.
დრო დაუდგათ სიცილის და განაზების,
დაივიწყეს ზამთრის განცდა, ტკივილი.
მათ გამოყვით ტანწერწეტა ლამაზები,
გოგოები სიმღერით და ღიმილით.
დაჯდენ ქვეყნის მშვენიებად და ნაწნავები
მიაფინეს ჩუქურთმებად რიკულებს...
ვით ზეიმში, მათ ლხენაში მეც ჩავები,
მათ ფიქრებშიც ბევრი ჩემად ვიგულე.
სულს მიბრწყინებებს ეგ სიტურფე, აივნები,
ეგ სწივები, მზემ რომ უხვად დაყარა...
რა ვქნა, მუდამ თუ ჭაბუკი არ ვიქნები,
ასეთ დღეებს ვნახავ მაინც ჭაღარა.
გავივლი და კვლავ შევხედავ ასე გზნებით
იმ მომავალს და ყვავილებს ფერადებს;
მომღიმარი, ტანწერწეტა ლამაზები
კვლავ სიცოცხლით ამავსებენ ყელამდე!
რა კარგი ხარ, შენ ცხოვრებავ, რა ახალი,
იხარებ და არც დაქცნები აროდეს, —
და მეც მინდა, ვიყო შენებრ სანახავი,
შენს დუდილში მუდამ შენებრ ვყვოდე.

სამოქალაქო ომში დაკარგულზე

ახლა ბალებში შენი ატმები
თეთრი ქალივით კაბას შეარხევს,
შენ მიწიდანაც ვიცი ადგები
და ათრთოლებულ თითებს შეახებ.
არაგვი ახლა ჩამოატარებს
ლურჯი შეფებით თევზის ქარავანს,
ნაპირს აღმასით გადახატავენ
და შენ სადა ხარ, ძმაო ფარავან?!
მამა წარსულის სივრცეს გადივლის
და უცნაური ცეცხლით ენთება,
ხან ცრემლი დასდის ნაღვერდალივით
და მკერდში რაღაც ჩაელვენტება.
დაჯდება მერე ყალიონიდან
კვამლსა და ფიქრებს ალაპარაკებს.
და მოუყვება ალიონიდან
ბავშვებს გაგონილს იგავარაკებს.
მერე გაივლის ნაჭარმაგები,
მოსინჯავს მიწას კოჟურიან ხელით,
მისი ქალარა ამხანაგები
გაჰკვირდებიან მალალი ხენი.
ერთად გაზრდილან, რამდენჯერ ასე
შეჩერებულა ხეთა შრიალზე.
ახლაც ფოთლების იდუმალ ხმაზე
კვლავინდებურად შეაჟრიალებს.
მაგრამ რა უყოს, შუბლის ძვალზედა
დარდი მოსულა უთვლელ ღარებად.
შვილი ადარდებს მოხუცს ძალზედა,
ამ ქვეყნად რომ არ დაიარება,
სწუხს და როდესაც უბრალო სიტყვით
წყევლას შეუთვლის ზეცის დასავალს,
ჩამოჯდება და ფანდურზე იტყვის
დაკარგულ შვილის თავგადასავალს.
ეს, მოგონება ბნელ ჩრდილებს გაშლის.

წათელი ღვება გულის ფიცარზე.
შენ გამარჯვება დიდხანს იწამე,
რომ ჩასულიყავ გმირების ბაღში.
ვინ იცის, იქნებ მგზნებარე სევდით
ინატრე შენი ქოხი და ჩერო,
შენი ოცნება, — მოზვრები შენი
და ცის ტატნობზე გაკრული წერო.
ვინ იცის, იქნებ მღერით დახუჭე
თვალეები ლურჯი, თვალეები დარდის,
იქნებ კარპატის მიწა აფუჭებს
შენი მკერდიდან ამოსულ ვარდებს.

უძლევალი რიგვი

მოხუცის ოთახს გუმბათის ვეებერთელა საათისაგან ფიცრის კედელი ჰყოფს მხოლოდ, ამიტომაც ისმის ასე გარკვევით საათის მუშაობა. დღელამ გაისმის ეს მონოტონური რახუნი. ამ ხმაზე კიდევ ჩასთვლემს კაცი და ის თითქო ფიქრსაც ვერ დაგიშლის, მაგრამ თურასელს სიბერემ გაუტეხა ძილი და ახლა ჰგონია, რომ სწორედ ამ ერთფეროვან, მოსაბეზრებელ და დაკარგულ წამთაგამოისობით არ ეძინება. უსაზღვრო სივრცეში გამარტოებით დაუკიდიათ თითქო ეს პატარა ოთახი და ყოველმხრიდან ერთიდაიგივე ბგერები ეჯახებიან მის კედლებს, ჰერსა და იატაკს; მოსდგომია პატარა ოთახს დრო და მარტოდ დარჩენილ თურასელს განუწყვეტელი რახუნით აძცნობს თავის შეუჩერებელ, უკანმოუხედავ სვლას. მძლავრად, რიტმის შეუშლელად აღინიშნება ქანქარის რხევით წამთა განუწყვეტელი მდინარება, უკვე გამქრალი წამი წინდაწინვე აკაკუნებს მოხუცის ოთახზე. წამთა რახუნი ახშობს სმენას და მთელი ყურადღება იმათკენაა მიქცეული; ყოველივეს ივიწყებს უნებურად თურასელა, იგი მხოლოდ საათს უსმენს.

მოწყდებიან ბგერები უკანჯრო ოთახის კედლებს, ჰერსა და იატაკს და უკანვე მიიქცევიან. მაშინვე განვლილის სანაცვლოდ ახალახალი წამები ახმაურდებიან და თვალის დახამხამების უმაღლ ისინიც გაჰქრებიან, რომ ახლა სხვებს დაუთმონ ადგილი.

ასეა ყოველდამ, და განზომილ და დათვლილ დროის ამგვარად თვალყურის დევნება ჰიპნოზივით მოქმედობს მოხუცზე.

ზოგჯერ ცდილობს კიდევ წაუყრუოს ჯიუტ რახუნს, მაგრამ ამაოდ. გუმბათში ჩასმული დროის საზომი რაღაც სხვა, უძლეველი რიტმის ნაწილი უნდა იყოს უთუოდ, და ადამიანის ნებისყოფა წინ ვერ აღუდგება. საათის რახუნი იმდენად ჰბოჭავს და აჩლუნგებს მის ჯონებას, რომ სმენის გარდა სხვა გრძნობები აღარ მოქმედობენ.

აი ახლაც, ტანგაუზდელი გულადმა წევს პატარა, თეთრად შეფეთქილი ოთახის კედლებთან მიგდმულ ტახტზე და უაზროდ მიშტერებია ბუზებისაგან დაწინწკლულ ელნათურის შუაში მოვარვარე ძაფების ქსელს. ის ახლა ვერაფერს ხედავს და მხოლოდ საათის ქანქარის რხევას უსმენს. ოთახის იატაკი მტვრითა და ნაფურთხითაა დასერილი. ტახტის გვერდით, შიშველ მაგიდაზე უთაებლოდ ჰყრია გაურეცხავი თეფშები, იქვე დგას მღვრიე სითხით საესებოთლი და ემალის ფინჯანი.

მოხუცი ლოგინზე პალტოთი და ქუსლმონგრეული ჩექმებით წევს. კეფაზე აქა-იქ და შერჩენია ორიოდ ღერი თმა, ნიკაპი და ლოყები საკმაოდ მოზრდილ წვევს დაუფარავს და ტუჩებზე ჩამოშვებულ თეთრი უღვაშის ბოლოებს ღვინის ფერი დაჰკრავთ. ძველი იერი ცოტათი მაინც გამოჰყოლიათ ბუშტა, იისფერად აფორაჯებულ ცხვირს; აბურძგვნილ წარბებს ქვეშ მუდამ ცრემლიანი, ქუთუთო ჩაწითლებული ჰკრავს თვალები გამოიყურებიან.

მალლა სართულში გაუმბათის საათის ქანქარა ხმაურობს. მუდამ ხმაურობს; და მას შემდეგ, რაც მოხუცი ამ ოთახში დასახლდა, ღამეები უძილოდ მიდიან.

საათის ხმაური თვალების დახუჭვას უშლის, უბეების თრთოლვა აუტყდება ხოლმე, თითქო ცხვირწინ გრდემლზე ჩაქუსსა სცემენო; ღია თვალებში კი იმავ ხმაურისგან მოყვითალო რკალები ჩნდებიან, ეს რკალები წყალში ჩადებისაგან ალივლევებულ ტალღებივით იზრდებიან, ელნათურის მოელვარე ძაფებში იხლართებიან და თეთრი ჰერი ფერს იცვლის, თანდათან იძირება წყნარად მოლივლივე ყვითელ რკალებში. ბვალის გულებში საგნებს ჰკარგავენ. ოთახი ქანქარას აჰყვება, საწოლი თითქო დაცურავს ყვითელ შუქში და საათის ტაქტის შინდევით ირხევა.

ძირს არგადმოგვარდევ, თურასელი საწოლის კიდევებს ჩასქიდებს ხოლმე ხელს, ცივ რკინაზე ოფლიანი თითების შეხება გონს მოიყვანს, ყვითელი ნისლი გაჰქრება და ოთახიც შედგება.

გარედან მოდენილი რახუნნი კი, საფეთქლებში მოწოლილი სისხლის ჩქოლვას უერთდება და მოხუცი ველარ არჩევს, — საკუთარი გულის ცემა ესმის, თუ საათის ხმაური.

ბურანში გახვეული მოხუცი ხშირად ხედავს თავის ვაჟს, ხედავს პატარა ბიჭუნას — თამაზს. წაბლისფერი კულულები მხრებზე აქვს დაყრილი თამაზს და კრიალა პარკეტის იატაკზე შვლის ნუკრივით მიაბაკუნებს თეთრ ფეხსაცმელებს; წყნარად მიუახლოვდება სავარძელში ჩამჯდარ მამამისს და მაჯის პატარა საათს დანახვებს. დღეს თამაზის დაბადების დღეა და ეს ოქროს საათი ბიჭუნამ დედისაგან საჩუქრად მიიღო.

— პაპა, ნახე, როგორ ტიკტიკებს... — ამბობს ბავშვი და დიდრონი, ცისფერი თვალები ყურადღებით აშტერდებიან მამას. თამაზი მამის მუხლებზე ადის და მის ყურთან მიაქვს მუქაში მომწყვედელი საათი. თურასელი თვალებს მინაბავს და გარკვევით ესმის პაწია ისრის ბეჯითი ხმაური, ზუსტად და თავდაჯერებით რომ აღნიშნავს სამყაროს რიტმიულ მოძრაობას. ერმილე ივანესძე გაახელს თვალებს და უნდა ბიჭუნას მოხვიოს ხელი. მაგრამ ბავშვი უკვე იქ აღარ არის. და მოხუცი ძილში ამოიკვნესებს ხოლმე:

— შვილო...

ისევ გაისმის ზევიდან გუმბათის ვეებერთელა საათის რახუნი.

ისევ ბურანში ეხვევა მოხუცი.

... იქ, მეორე ოთახში ოპერაციას აკეთებენ. რატომ ხმაურობს ასე ეს კედლის საათი? კარები დაკეტილია და იმ ოთახიდან არაფერი ისმის. თამაზს მძიმე ჰრილობა აქვს. ექიმები ამბობენ, რომ შეიძლება დაჰკრილს გულმა უმტყუნოს და ოპერაცია ვერ გადაიტანოს. მაგრამ... მაგრამ ერმილეს მხოლოდ ერთადერთი ვაჟი ჰყავს. რატომ ხმაურობს ასე კედლის საათი? უთუოდ გარშემო გამეფებული ღუმლის გამო ისმის მკვეთრად ქანქარის ხმა. ერმილე ოთახ-

ში ბოლბასა სცემს. იგი მარტოა და მოუთმენლად ელის კარის ვალებას, იქ მეორე ოთახში მის ერთადერთ ვაჟს ოპერაციას უკეთებენ.

კარი ქრიალებს.

— ექიმო...

რატომ სდუმს ეს თეთრხალათიანი კაცი?..

— სთქვით, ექიმო...

რა საშინლად ხმაურობს კედლის საათი. უთუოდ იმიტომ, რომ ირგვლივ სიჩუმეა.

— სთქვით, სთქვით... მისი ვაჟი, ახალგაზრდა ოფიცერი, ავსტრიელების უღმბარის ნამსხვრევისაგან... ოპერაციის დროს...

— სთქვით, ექიმო...

რატომ არაფერს ამბობს ეს კაცი; იგი გაფითრებულია და სდუმს. იქნებ მან სხვა რამ სთქვას, იქნებ თამაზი ისევე... როგორ ხმაურობს საათი.

— პოლკოვნიკო, ჩვენ უძლურნი აღმოვჩნდით... თქვენი მწუხარება...

— დიალ, ეს კაცი სწორედ იმას ამბობს, რისიც ასე ეშინოდა ერმილეს... როგორ ხმაურობს საათი. ჰო, იგი მოკვდა. მაშინაც ხმაურობდა საათი, იქაც ისმენდა თურასელი დროის ზვიად სვლას.

ყველგან ჰკიოდნენ საათები. საათები სასახლეშიც ეკიდა. ტალანში გარკვევით ისმოდა ქანქარის ხმა. ერმილე და გვარდიის რამდენიმე სხვა ოფიცერი იდგნენ და მოუთმენლად ელოდნენ ჯერ კიდევ საექვო ამბის დადასტურებას. შემოვიდა ახალგაზრდა ადიუტანტი. შუბლშეკვრით ჩაათვალიერა იქ მყოფნი და ხმადაბლა წამოისროლა:

— მართალი ვახლავთ, ბატონებო, ნიკოლოზ ნიკოლოზისძესაც ტახტზე უარი განუცხადებია...

ყველანი უსიტყვოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს. საიდანღაც გარკვევით ისმოდა საათის მონოტონური ხმა. იგი ურყევად აღნიშნავდა წამთასვლას.

ასე, საათის განუწყვეტელი რახუნის აკომპანიმენტის ქვეშ ატარებს თურასელი თავის სიბერეს.

როდესაც გუმბათის საათი დარეკს, მოხუცი დროებით გამოერკვევა ხოლმე გარინდებიდან.

ერმილე ივანესძე ნაცნობმა ინჟინერმა მოიყვანა აქ. იგი დიდად უმადლოდა ინჟინერს.

თურასელი ტფილისის ქუჩებზე გაზეთებს ჰყიდდა, მერე „პასპორტიზაცია“ შემოიღეს და „ღმერთმა უშველოს“ ნაცნობ ინჟინერს, თორემ, „პროვინციაში“ გადაასახლებდნენ და „ვინ იცის რა მოელოდა.“

ქიმიური კომბინატი თითქმის უდაბნოში იყო გაშენებული. ამ ადგილებში ფოსფორის საბადოები აღმოაჩინეს და ქიმიური წარმოება დააარსეს. მრავალსართულიანი, დიდფანჯრებიანი, თეთრი ქვის შენობები, ფართო ქუჩები, მანქანების გრიალი და ხალხის ფუსფუსი ქალაქის შთაბეჭდილებას სტოვებდა.

თურასელს კომბინატის აგებულ ყველაზე დიდ შენობაში მისცეს ბინა, დირექტორის შეკარედ დანიშნეს; თანაც დაავალეს — ამავე სახლის გუმბათში ჩასმული საათისთვის თვალყური ედევნებია.

საცხოვრებელი ოთახი პირდაპირ გუმბათის ქვეშ იყო მოთავსებული. და მას შემდეგ აწამებს მოხუცს ეს საათი. ფეხს შესდგამს თუ არა თავის ოთახში, მაშინვე საათის ხმაური იმორჩილებს. წამები განუწყვეტლივ ეჯახებიან

კვლევებს და ბებრის ყრუ ხველებით ამცნობენ, ახსენებენ, რომ სამუდამოდ დაიკარგა წარსული, ხოლო მომავალი ისევე მოსაბეზრებელი. ერთფეროვანი და უიმედო იქნება, როგორც ამ ქანქარის უწყვეტი რხევა, რომ ზის აქ ოთხ-ნოცწლამდე მიღწეული მოხუცი და მისი არსებობა არვის აინტერესებს.

თურასელის მთელი გარემო ამ ოთახით შემოიფარგლება. სამსახურში მის შოვალეობას შეადგენდა ვიწრო და ბნელ ტალანში კაბინეტის კარებთან ჯდომა. პირველ დღეს მოუთმენლად ელოდა, რომ უფროსი გამოიძახებდა. ვინც უნდა იყოს — უფროსი მაინც უფროსია, თურასელს კი უკვე მეორე ათეული წელი მიდის რაც ასეთი არ ჰყოლია, უფრო მეტიც: არც თითონ ყოფილა უფროსად. მალე კაბინეტიდან შუატანის, მკვრივი ახალგაზრდა კაცი გამოვიდა. მას ფარაჯა ეცვა და სამხედრო ქუდი შუბლზე ჰქონდა ჩამოფხატული. ერმილე ივანესძე უჩვეულოდ დაფაცურდა, ქუსლმონგრეული ჩექმები ერთმანეთს მიადგა, წელში გასწორდა და, იქნება უნებურადაც, სამხედრო სალამი მისცა. დირექტორმა ახედ-დახედა გახუნებულ ლურჯ პალტოიანს და ტყავის ქუდიან მოხუცს და ალბათ მიხვდა ვისთანაც ჰქონდა საქმე.

— ა, თქვენ ახალი მეკარე ხართ? — სთქვა ახალგაზრდამ. — მე საფქვავე ქარხანაში მივდივარ და თუ მიკითხონ, უთხარით, რომ... — დირექტორმა მაჯას დახედა, — უთხარით, საათნახევარში დაბრუნდებათქო.

მან ჩქარი ნაბიჯით გაიარა ტალანი და თურასელი გულნაკლული დასტოვა.

„იპ! მუხმუხელა! — გაიფიქრა მოხუცმა, — ბუზადაც არ ჩამაგლო!.. აქაოდა უფროსი ვარო, ჰა?.. დორეული!.. ამხანაგი დორეული!.. იპ! ბარათიანთ ნაყმეგია უთუოდ, კუმელი მემწვანილის შვილი. მუხმუხელა, ნამდვილი მუხმუხელა!..“

დირექტორი ნახევარ დროს საწარმოებში ატარებდა. როცა კაბინეტში იყო, ყველას შეეძლო მასთან შესვლა. იშვიათად, სხდომის შემთხვევისას თუ სთხოვდნენ ხოლმე ნებართვას; მეკარე ფორმისთვის უფრო ჰყავდათ და მოხუცი თურასელი მალე დარწმუნდა, რომ ის აქ საერთოდ ზედმეტია.

დილის ცხრა საათიდან ნაშუადღევის ოთხამდე იჯდა ტალანში და უსაქმობისაგან თვლებდა. ოთხის შემდეგ, გაქირვებით აფოფხდებოდა გუმბათის კიბეებზე, თვალს გადაავლებდა საათის უზარმაზარ მექანიზმს და რამდენსამეადგილას ზეთს ჩააწვეთებდა. მერე თავის ოთახში შევიდოდა, და იმის მაგივრად, რომ დაღლილს ჩასძინებოდა, რიჟრაჟამდე თვალთა იწვა ტანგაუხდელი და ყურს უგდებდა როგორ აკაკუნებდა დრო და ამცნობდა სივრცეს თავის უკანმოუხედავ ქროლვას.

თურასელმა იცოდა, რომ იქ, ქვევით, ხალხი სიხარულით და იმედით სცხოვრობდა. მათთვის იმავე ქანქარის რხევას, მოხუცი სასოწარკვეთამდე რომ შიიყვანა, ახალი გამარჯვებანი და მეტი რწმენა მოჰქონდა, მაგრამ თურასელი უცხო იყო მათთვის და არც სურდა დაახლოვება. ამავედროს... სიბერე, მარტოობა... ვაჟი კარპატებზე დაიღუპა, ცოლი სახადით გარდაეცვალა სამოქალაქო ომის დროს. ერმილე კი ისევ ცოცხალია და... დორეულის მეკარე!..

ოდესღაც სჯეროდა, რომ რაღაც პრინციპებით ცხოვრობდა. მაგრამ ისინი ისევე დაძველდნენ და ზედმეტნი გახდნენ, როგორც თვით თურასელი. ახლა აზრების ძაფი ქანქარების რხევამ დასწყვიტა თითქო, და ეს ძაფი ვეღარ ამაგრებდა მოხუცს გონიერ ცხოვრებისთვის. ქანქარამ გამოფიტა მისი სული და დარჩა მხოლოდ ბოროტი სასოწარკვეთილება ბებერი ცხოველისა.

მისი დღეებიც ქანქარის რახუნით ჰგვანან ერთმანეთს.

თვეში ორ დღეს კიდევ მეტი თაღბი ფერი შეჰქონდა მის უხალისო ცხოვრებაში. ეს იყო თვის შუა და ბოლო რიცხვი, როცა ჯამაგირებს არიგებდნენ ზოლმე.

ერთადერთი ადამიანი, რომელსაც მოხუცი კარგი თვალთ უყურებდა, მოლარე ყმაწვილი ქალი — იათამზე გახლდათ. როცა თურასელმა პირველად ნახა ეს მკვირცხლი, შავგვრემანი გოგონა და შეამჩნია, რომ ის ყველას თავაზიანად და ალერსით ეპყრობოდა, გაიფიქრა: „ჯიში სჩანს, ჯიში...“ საწერ მაგიდაზე გადაიხარა, იდაყვი მელნით დაისვარა და ისე წასჩურჩულა, თითქო რამე საიდუმლოს ჰკითხავდა:

— რა გვარისა ბრძანდებით, ქალიშვილო?..

მოხუცის უცნაური ტონით გაკვირვებულმა გოგონამ იდაყვი საშრობის ქალღმერთად გაიწმინდა და ღიმილით მიუგო.

— კაკუტალია გახლავართ, ძია...

თურასელმა წარბები შეიკმუხნა და უნებურად წამოსცდა თავისი „იპ“. ბერე მოაგონდა: „ნაბუშარია უთუოდ“.. თორემ ერთილე ივანეს-ძე ვერ დაიჯერებდა, რომ ლამაზი და სანდომიანი ქალი „უბრალო“ გვარისა ყოფილიყო. ხელფასის მიღებისას იათამზე მხიარულად ეგებებოდა ზოლმე:

— ოპ, ძიას გაუმარჯოს!..

და თურასელიც უმეორებდა ერთსა და იმავე ხუმრობას:

— მალე გათხოვდები, ქალიშვილო?.. აბა, შენ იცი, ქორწილში თუ გვაქეფებ!..

შემდეგ, პირდაპირ კოოპერატივში წავიდოდა, იყიდდა არაყს და ჩუმად სვამდა თავის ოთახში. სასმელი უფრო უძლიერებდა ნაღველს და უფრო აუტანელი იყო ქანქარის მუდმივი რახუნი.

თურასელმა დღესაც მიიღო ჯამაგირი და როცა ჩვეულებრივ გაეხუმრა იათამზეს: როდისღა გათხოვდებიო, თვალეგაბრწყინებულმა ქალმა მღელვარე სიცილით უპასუხა:

— ვთხოვდები, ძია, მართლა ვთხოვდები...

მოხუცი მიხედა, რომ გოგონა აღარ ხუმრობდა; მიულოცა; საიდანლაც გამოძებნა დაუძღურებულ სხეულში შენახული სინახე, ქალის პატარა, სათუთ ხელს თავისი მოყვითალო ულვაშით შეეხო და ფრთხილად შეეკითხა:

— საქმრო რა კაცია, გენაცვა?..

— დორეული ჩვენი დირექტორი.. — მიუგო გაწითლებულმა იათამზემ.

თურასელს ეს ამბავი უფრო მეტად არ ეწყინებოდა, იათამზე რომ მისი შვილი ყოფილიყო, მაგრამ თავი შეიკავა და არაფერი უთქვამს.

გოგონამ სირცხვილს სძლია და თითონვე ატიკტიკდა, უამბო, რომ დღეს, ოთხ საათზე ის და დორეული „მმაჟი“ წავლენ და შეუღლების აქტს ხელს მოაწერენ:

— რას იტყვი, ძია?..

— ღმერთმა გაგაბედნიეროთ, შვილო.

მოხუცი მძიმე ნაბიჯით გაემართა კოოპერატივისაკენ. იგი დღეს ისვენებდა. არყის ნაცვლად წმინდა სპირტი იყიდა, უფრო მაგარი იყო და იაფადაც ღირდა.

სპირტი და წყალი შეაზავა, უკვე სამი ფინჯანი გადაჰკრა და ბოლმით საფ-
სე, ამღვრეული თვალებით მიჩერებია ელნათურის მოელვარე ქაფებს; თანაც
ისეთი ყურადღებით უსმენს საათის ხმაურს, თითქო რასმე უამბობენო.

— სიბერე... სიბერე და უძილობა, მარტოობა, დრო კი ასე ურყევად, შე-
უბრალებლად განაგრძობს სვლას.

ახალგაზრდობაში ბევრს მოითმენ — მომავლის იმედი გაქვს, მაგრამ ბე-
ბერს თუ გავიჰქირდა, შეგებრალემა შენი თავი; რაღაა მისი სიცოცხლე?..

საშინელი ოთახი, თითქო დაკიდული უსაზღვრო სივრცეში, და ერთფე-
როვან, მოსაბეზრებელ წამთა რახუნეი ჭერზე, კედლებზე და იატაკზე. დღეები,
უგემურნი წყალნარევი სპირტივით. იცი, რომ არავის უნდისხარ, არაფრად გა-
მოდგები და მაინც ცოცხლობ.

რატომ? რისთვის?.. „დრონი მეფობენ და არა მეფენი“. დრონი, ბოროტი
დრო, სიცოცხლეს რომ უმწარებს და რახუნით არ ასვენებს!..

ასე რომ არ დაუძლურებულებო, მაშინ კიდევ ჰო; მაგრამ წამთა წვიმამ
რომლის შხაპუნი ყოველი მხრიდან ისმის, გადნო მისი სული, და დარჩა მხო-
ლოდ უფორმო და მწებვარე, გამოუჟსადეგარი მასა სანთლის ნაღვენით.

იქ, ამ გუმბათს ქვევით კი კმაყოფილებას გრძნობენ. ეჯავრება ის ხალხ-
მობუც თურასელს; ეჯავრება, ამაყად რომ იმზირებიან, ყველგან რომ თავი-
სუფლად შეაღებენ კარებს, ყველაფერში ეჩრებიან და თავს ყველაფრის პატ-
რონად სცნობენ; ეჯავრება დირექტორი დორეული, რომელსაც თითონაც არ
იცის რატომ, მუშმუშელა დაარქვა; ყოველივე ბებრულად გაბინძურდა და გა-
მბრუებელი სუნი დგას ოთახში. ოდესღაც კი, იმპერატორის კარზე „ხერუ-
ნიმიკს“ ეძახდნენ. გვარდიის პოლკოვნიკი, მდიდარი მემამულე და ბრწყინვა-
ლე ქართველი თავადი ერმილე ივანესძე თურასელი ახლა მეკარე ვახლავთ.
სხვათაშორის თავისთავს ახლაც ერმილე ივანეს-ძეს უწოდებს, ჰგონია, რომ
მამის სახელის თქმა სერიოზულობას შეჰმატებს; როცა ჯამაგირის მიღებისას
მოაწერინებენ ხოლმე, გულით სურს გვარს ჩვეულების მიხედვით წინ ორი რუ-
სული ასო კნ-ც მიუმატოს, მაგრამ სამსახურის დაკარგვისა ეშინიან და თავს
ჩკავებს.

ზევით სამჯერ ჩამოჰკრა საათის ზარმა.

თურასელი გუმბათში უნდა ავიდეს და საათი გაზეთოს, საათი, რომელიც
დღელამ არ ასვენებს.

მობუცი ტახტიდან წამოდგა და ყურისანი ქუდი დაიხურა: ფინჯანი
მღვრიე სითხით გაავსო, უსუნთქევად გადაჰკრა და ლამის გაიგუდა. თვალ-
ცრემლიანი, ხველებით გავიდა ოთახიდან.

ზევით რკინის ვიწრო, ხვეული კიბე აღიოდა. გუმბათის თაღის მრგვალ
სარკმლებში შემოსული სინათლე მკრთალად ანათებდა მტვრისაგან გაწვე-
ბულ კოჭებს. ქვის თაღი ეხმარებოდა ქუჩის პირა კედელთან მორახრახე სა-
ათს და ფანჯრის მინები გაბმით წყარუნებდნენ.

ეს საათი „სინქრონიზაციაქმნილი“ იყო, შორეულ ობსერვატორიის ასტ-
რონომიული დროის საზომთან შეთანხმებით მუშაობდა.

კომბინატის ცხოვრება ამ საათის მიხედვით მიმდინარეობდა: გუმბათის
ზარი, როცა ზამთრის დილით შეიღვერ შემოჰკრავდა ხოლმე, ქარხნის მი-
ლები სივარებივით აბოლებდნენ და განიერი, მოასფალტებული ქუჩები
ხალხით ივსებოდა; ცხრაზე აღებდნენ დირექციის შენობის კარებს და კიბე-

დერეფნებში ჩქარო ნაბიჯით მიმოდრიდნენ პორტფელიანი ქალები და კაცები; კარების რახუნით დარბოდნენ ოთახიდან-ოთახში რაღაც ქალღლებით თანამშრომლები; განუწყვეტლივ წკრიალებდა ტელეფონი და დამლაგებელ ქალებს ბუფეტიდან თეფშებზე დალაგებული საუზმე მოჰქონდათ. მოვიდოდა ფარაჯიანი. ახალგაზრდა დირექტორი დორეული; სწრაფად აირბენდა კიბეებზე; ქუდრამოფტატულ თავს ერთხელაც არ ასწევდა ზევით, ისე შევიდოდა კაბინეტში. კარებს იმ წამსვე მიაწყდებოდნენ ინჟენერები, ქიმიკოსები, ბრიგადირები და მუშები, მაგრამ დიდხანს არც ერთი მათგანი არ რჩებოდა დირექტორთან; ზოგი დაბნეული და განცვიფრებული გამოვიდოდა და, ხელმჯაშღილი გაჰყვებოდა ტალანის კედელს, ან ისე გამოვარდებოდა, თითქო ხანძრის საქრობად დაუძახესო, კიბეზე ჩაირბენდა და ქუდის დახურვაც ავიწყდებოდა. საერთოდ, თუ ვისმეს ჰკითხავდით დორეულის ამბავს, ინჟენერი იქნებოდა თუ კალატოზი — თავის ქნევით გეტყვოდათ: „ძალიან ბიჭია“, და თან მაშინვე დაუმატებდა: „მკა-აცრია, ოჰ!“... მერე წარბის აწევით დააბოლოვებდა: „თანაც ახალგაზრდაა“ და გაკვირვებით აიჩეჩა მხრებს. ოთხი საათისათვის, დორეული უსათუოდ დირექციის შენობის წინ გაჩნდებოდა ხოლმე, ჭიწყობდა ფარაჯის ჯიბეებში ხელებს და ქუდქვეშ გაჰყურებდა საბარგო ავტოების ქარავანს, რომელსაც ამ დროს ფოსფორიტი მიჰქონდა რკინიგზის სადგურისაკენ. ნაშუადღევს ოთხის შემდეგ, დირექცია თანდათან ცარიელდებოდა და კომბინატის მცხოვრებნი საერთო სასაიდლოებში იყრიდნენ თავს; ექვსზე თუ ვინმე იყო გასასვენებელი, დროშებით და სასულე ორკესტრით მიაცილებდნენ ახალთახალ სასაფლაომდე; შემდეგ ქუჩებში ინთებოდა ელნათურები და კლუბიდან ისმოდა რაილის და იმავე სასულე ორკესტრის ხმა; ღამის პირველ საათისთვის კომბინატი იძინებდა.

ერმილე ივანის-ძის წარმოდგენით ასე მარტივად ხანწილებდა მათ ცხოვრებას გუმბათის საათი. ის არც ერთხელ არ გაჩერებულა, რადგან მოხუცი უვლიდა და ყოველდღე ზეთავდა.

ერმილე ივანეს-ძე ჩაფიქრებული მიუახლოვდა საათის მექანიზმს და თვალი გაუშტერა კრიალა თითბრის მწყობრად მოძრავ, დაკბილულ ბორბლებსა და ბრახნილებს.

საცაა გუმბათის საათი ოთხჯერ დარეკს; დირექციის შენობის წინ ფოსფორიტით დატვირთული საბარგო ავტოების ქარავანი ჩაივლის: იაიაამზე და დორეული „მმაში“ წაელენ. ბედნიერად იცხოვრებენ ალბათ. მოხუცი კი ისევ უნდა აწვალოს ქანქარის უწყვეტმა რახუნმა დაუბრუნებელ წამთა აღნიშვნით. ისევ უძილოდ უნდა იქროლონ ღამეებმა და... როდემდე? როდემდე?!

ტალახიანი ჩექმის წვერი საათის ქანქარას დაეჯახა, ლითონის ჯოხი ჩართოდან ამოვარდა. გვერდზე გადაიხარა, შეჩერდა.

საათი დადუმდა.

გუმბათში უეცრად უჩვეულო სიჩუმე დამკვიდრდა. წკარუნა ფანჯრის შინებმა ხმა გაიკმინდეს და თაღში სინათლე კიდევ უფრო მკრთალი გახდა.

მოხუცი ჩაწითლებულ ქუთუთოებს ახამხამებდა. იგი ცოტახანს შესცქეროდა გაჩერებულ საათს, შემდეგ აუჩქარებლად გამობრუნდა და ფეხის წვერებზე შემდგარი, ისე ფრთხილად წავიდა კარებისაკენ, თითქო, ეშინოდა ვინმე არ გაეღვიძებია. კარებში შესდგა და უკან მოიხედა.

თითბრის დაკბილული ბორბლები უმოძრაოდ იყვნენ.

წყნარად ჩავიდა კიბეებზე, ოთახის კარი ჩუმად შეაღო, ერთი ფინჯანო წყალნარევი სპირტი კიდევ გადაჰკრა, მუქაში ჩაახველა და ტახტზე წამოწვა.

ზევით აღარ ხმაურობდა საათი, ბგერები აღარ ეჯახებოდნენ კედლებს, ჰერსა და იატაკს და აღარაინ აგონებდა მოხუცს, რომ წარსული დაუბრუნებელია და მომავალი — უნუგეშო.

მოხუცის სახეზე მთვრალი ღიმილი ათამამდა. იგი სტკებოდა სანატრელი სიჩუმით. რამდენი ხანია რაც ასეთი მყუდროება არ უგრძენია. მისი ვარკაშის გასაქარვებლად საკმარისი ყოფილა გუმბათის საათის გაჩუმება. სპირტი-საგან შეხურებული ნებივრად იწვა საწოლზე და ბრიყვულად იღიმებოდა. სპირტმა გააღიზიანა და საათის რახუნის გონებას აღარ უბინდებდა. ახლა მისი აზრები სწრაფად სცვლიდნენ ერთმანეთს:

„მთელი კომბინატი გუმბათის საათის მიხედვით მუშაობს. უმრავლესობა ვერ შეატყობს, რომ საათი გაფუჭებულია. გარაჟიდან დაგვიანებით გამოვლენ ავტო-მანქანები, ან პირიქით, სატვირთო კონვეიერი დააგვიანებს ფოსფორიტის მიწოდებას. იქნებ ქარავანმა ჩაიაროს, მაგრამ დირექტორი კომბინატიდან მანამ არ გამოვა, სანამ გუმბათში ზარი ოთხჯერ არ ჩამოჰკრავს, და ფოსფორიტი რკინიგზის სადგურზე დირექტორის თვალგადაუვლებად წავა, მატარებელს უთუოდ ვერ მოუსწრებს, უკან გამობრუნდება და ატყდება ერთი აურზაური. დირექტორს ქარავანიც გაეპარება და ქორწინების დროც. შემდეგ ქორწილისთვის ვეღარ მოიცილის — მთელი თვის საწარმოო ვეგმა ჩაეფუშება“.

მოხუცი ტახტზე წამოჯდა, სპირტი პირდაპირ ბოთლიდან მოსვა, ხელის გულით შეიმშრალა უღვაშები და საათის ხმას დააყურა.

ირგვლივ სიჩუმე იდგა, წამები აღარ ხმაურობდნენ, დრომ შეწყვიტა სვლა.

თურასელის სახეზე ისევ გამოკრთა წელანდელი, ბრიყვული ღიმილი. მან გადასწყვიტა ჭვევით ჩასულიყო და თავის თვალთ ენახა რას შერებოდნენ „ისინი“.

მოხუცმა სპირტიანი ბოთლი პალტოს ჯიბეში ჩაიდო და არეული ნაბიჯით გაემართა კარებისაკენ. დაკვირვებით ჩაჰყვა კიბის სახელურს, ატყობდა, რომ სასმელი ერეოდა, ბარბაცით გავიდა ქუჩაზე და დირექტიის კარების წინ ფილანქანზე გაჩერდა.

გარეთ მარტი იდგა და ჭვის შენობების განიერ სარკმლებში თვალის მომპკრელად აფოროჯებული მინები მზის ათას ანარეკლით ავსებდნენ ქუჩას.

გამდნარ თოვლს სველი ლაქები დაეტოვებინა ფილანქანებზე. სახურავებიდან პატარა რუებად ჟონავდა წყალი, გამვლელებს ფეხსაცმელები უსველდებოდათ და ნახერხით მოფენილ კიბეზე კვალს სტოვებდნენ. სითბო საგრძნობი არ იყო, მაგრამ სიცივეს ძალა უკვე დაკარგული ჰქონდა.

ერმილე ივანეს-ძემ სახელოები ჩამოუშვა, ფეხებს აბაკუნებდა და იყურებოდა იქით-აქეთ.

გუმბათის საათის შეჩერება ჯერჯერობით არაფერს დასტყობოდა. ხალხი ჩქარი ნაბიჯით მიმოდის და მახლობელ ქიმიურ საამქროს გუგუნის უფრო მეტ სიცოცხლეს აძლევდა მხიარულ დღეს.

„ძალიან ყარგი, — გაიფიქრა მოხუცმა, — ვნახოთ, აბა ვნახოთ, თუ თავგზა არ აგებნეთ!“...

სკოლიდან ჩანთებით მოდიოდნენ ბავშვები. ლოყაწითელა; ცხვირჩაჭექქცილმა პატარა ბიჭმა კალოშები გაიძრო და ხელში დაიჭირა.

— რას შერები, ხომ არ გაგიყლი! — მიაძახა მალალმა ამხანაგმა, რომელსაც წვეტიანი ქუდი გვერდზე მოქცეოდა და ხედვას უშლიდა.

— ასე კარგია! — დაიყვირა პატარა ბიჭმა, შემსუბუქებულ ფეხებით ერთ ადგილზე შეხტა, შეკუნტრუშდა და კალოშის ძირებით ტაში შემოჰკრა, — აღარ მინდა კალოშები, უკვე გაზაფხულია!...

— „იპ... რა ამბავში არიან ეს ღორიშვილები, — გაიფიქრა მოხუცმა, — პაპაშენს კალოშმა მოატეხვინა ფეხი, აი!... სწავლა მაინც თავის დროზე გაუთავებიათ“...

ღირექციის შენობის ხუთ სართულს თვალი ააყოლა და გუმბათს შეხედა. ოთხკუთხი საათის ვეებერთელა ციფერბლატზე ორი შავი ისარი დამწვარ ხის ტოტებივით იყო გაშეშებული.

თუ კარგა ხანს არ დააკვირდი, ისე ვერ შეამჩნევ ისრების მოძრაობას, მაგრამ თურაჲელმა იმ წაჰქვე დააქვანა: „გაშეშებულან დამძლა დაცემულივითა“.

მან ღირექციის კარებისკენ გაიხედა და შეკრთა: ქუჩისპირა კიბეზე დორეული და იათამზე გამოვიდნენ.

იათამზეს მკლავში ხელი გაეყარა საქმროსთვის და მთელი ტანით მიჰკეროდა რუხ ფარაჯაში გახვეულ დორეულს. პატარა, თეთრი ქუდი ცალყურისკენ წამოეწია და შევეგრძმანი, მკვირცხლი სახე ვაჟის მხარზე ჰქონდა დაყრდნობილი. ღირექტორმა მაჯაზე დაიხედა და თვალი ქუჩას გააყოლა.

„ელოდებიან... — გაიფიქრა მოხუცმა და გულის ჩქროლვა იგრძნო, — ფოსფორიტის ქარავანს ელოდნენ... კარგა ხანს დაგჭირდებათ ლოდინი! ტრანსპორტი ჯერ გარაჲიდანაც არ იქნება გამოსული“...

მოხუცის აზრით ახლა ყოველივე ჰკარგავდა თავის პირვანდელ, ერმილე ივანეს ძისათვის სატანჯველ წესრიგს. გუმბათში წამებმა შესწყვიტეს სვლა და საერთო ცხოვრებაც კალაპოტიდან ამოვარდება. თუმცა დორეული და იათამზე დანიშნულ დროზე გამოვიდნენ გარეთ, მაგრამ მათ ერთად ყოფნა უნდოდათ და ველარ მოითმინეს. კომბინატის მწყობრი მუშაობა კი უსათუოდ დაირღვევა.

სპირტის ოხშივარით გაბრუებულ გონებაში მოხუცს რაღაც ბუნდოვანი იმედი ჩაესახა იმისა, რომ უახლოესი მომავალი სიხარულსა და კმაყოფილებას მოუტანდა, ამ სიხარულს გარემოს სახე ცვლილება გამოიწვევდა მხოლოდ და მოხუცი მოუთმენლად ელოდა არევედარევის დასაწყისს.

კიბეზე გაჩერებული იათამზე და დორეული ჩუმად საუბრობდნენ. თურაჲსელმა გაოცებით შენიშნა, რომ დორეული ლაპარაკის დროს ხშირად ბავშურად, გულლიად იღიმებოდა.

„— იპ... დახე იმ მუხმუხელას, როგორ დამტკბარა! — გაიფიქრა მოხუცმა, — უწინ ილღიაში რომ შეგელიტინებინა, მაინც ვერ გააცინებდი“...

უეცრად მანქანის გუვუნმა ფანჯრები შეაზანზარა. ქუჩაში მწვანე ფერის საბარგო ავტო-მანქანა გამოჩნდა, ხვნივით მოუხვია, გაიმართა და სვლას უმატა. პირველს მოჰყვა მეორე, მეორეს — მესამე და რამდენიმე წუთში ქუჩა მწვანე საბარგო მანქანებით აივსო.

გამაყრუებელ გრიალით მისდევდნენ ერთმანეთს სატვირთოებზე ბრე-
ზენტგადაფარებული ავტონები, მათი სიმძიმით მიწა ირყეოდა და თურასელის
ფეხქვეშ ფილაქანი გაქცევას ლამობდა. საქის წინ აფარებული მინა მზეზე
აელვარდა და ანარეკლმა სხივებმა მოხუცს თვალი მოსჭრა.

მოხუცმა ხელით დაიჩრდილა სახე და ნიადაგის რხევისაგან მუხლებაკან-
კალებული გასცქეროდა ქარავანს.

ფოსფორიტით დატვირთულმა თორმეტმა ავტომანქანამ დირექციის შენო-
ბის წინ ჩაიარა და უკან ბენზინის სუნით შეზავებული გუგუნე დასტოვა.

უკანასკნელი ავტოს კუზიანი ზურგი წამით შესდგა მოსახვევძი, მერე
ისიც მიიმალა და მანქანების გუგუნის ხმაც ნელნელა მისუსტდა.

მოხუცი რეტდასხმულივით იდგა. ამ თორმეტმა ავტომ თითქო ზედ გა-
დაუარა.

— სრული ოთხი საათია, არ დაგვაგვიანდეს, წავიდეთ იათამზე, — მოესმა
შორიდან ერმილე ივანეს-ძეს. დორეულმა წელზე მოხვია ხელი იათამზეს და
ქალ-ვაჟმა სწრაფად ჩაირბინა კიბე.

ცაზედ ღრუბლები გაჩნდა, ქუჩა დაიჩრდილა და სარკმლებში არეკლილი
მზეები ჩააქრო. მოხუცს ძვლებში გაუარა უსიამოვნო სიცივემ; იგი წყნარად
გაემართა თავის ოთახისაკენ.

მაშ ასე, დრო თურმე ისევ განაგრძობს სვლას.

ყველგან — დირექტორის კაბინეტში, ავტოგარაჟში, სატვირთო კონვენერ-
ში, ყველგან, ყველგან... ასე უბრალოდ ასე მარტივად.

ალბათ გუმბათშიც ირხევა ქანქარი, პატარა ოთახის კედლებს, ქერსა და
იატაკს ძველებურად ეჯახებიან ბგერები და განუწყვეტლივ აღნიშნავენ და-
უბრუნებელ წამთა ქროლვას. ისევ ერფეროვანი და მოსაწყენია ცხოვრება;
ისევ გულგასაწყალებელად აკაკუნებს და ამცნობს, რომ მისთვის მომავალიც
აწმყოსავით უნუგეშო იქნება.

დრო ისევ განაგრძობს სვლას.

მოხუც თურასელს არც კი გაუგია, როგორ ავიდა კიბეზე. დუმილით მო-
ცულ გუმბათში თავი შეჰყო და ფრთხილი ნაბიჯით, თითქოს ეშინოდა არცინ
გაეღვიძებია, საათის მექანიზმს მიუახლოვდა.

თითბრის ბორბლები არ მოძრაობდა და ჩარჩოდან ამოვარდნილი ქანქარა
გვერდზე იყო მოღრეცილი.

მოხუცმა მუხლზე დაიხოქა, გათაშილ თითებით ისრების ხრახნილი გადა-
სწია, სრულ ოთხ საათსა და ათს წუთზე დააყენა, შემდეგ ლითონის ჯოხი
გაასწორა, ჩარჩოში ჩასვა და გაბედულად გააქანა ცალმხარეს.

ქანქარამ რახუნი შოილო. ერმილე ივანეს-ძე უნებურად შეკრთა და ხელი
სწრაფად გასწია.

ლითონის ჯოხი ინერციით დაბრუნდა უკან, მერე სხვა მხარეს გადაიხა-
რა, ამუშავდა და მაშინვე თალის ფანჯრებში მინები აწკარუნდა. მძლავრად,
რიტმის შეუშლელად დაიწყო ქანქარამ რხევა, ქვის თალი მხიარულად აძლე-
და ეხოს, ბრჭყვიალა ფითბრის დაკბილული ბორბლები მწყობრად მოძრაობ-
და და გუმბათი გაცოცხლდა. მხოლოდ სინათლე იყო წელანდელზე მკრთა-
ლი. — მზე ღრუბლებმა დაიჩრდილეს და თალის სარკმლებს ბინდი გადაჰკვრო-
დათ.

მოხუცი გაჭირვებით წამოდგა და კართან მივიდა.

თავბრუ ესმოდა, გული გამაღებით უცემდა და თვალებში რალაც, შავი რკალები უტრიალებდა. ამ რკალებს თითქო საათის ბგერები წარმოშობდნენ, ისინი საფეთქლებსა და გულის დაჭიმულ ქსოვილს უერთდებოდნენ და ტბორე წყალში კენჭის ჩაგდებისაგან გაჩენილ ტალღებივით ლივლივებდნენ.

მოხუცი კიბის საფეხურებს თითქმის ველარ ხედავდა, ცდილობდა მაგრამ ჩასქიდებოდა სახელურს და ძირს არ გადავარდნილიყო.

როცა ოთახში შევიდა, უფრო ხმამაღლა მოესმა საათის რახუნნი. იატაკი ქანობდა და თეთრ კედელზე ერთმანეთს მისდევდნენ, ტრიალებდნენ და ჰქრებოდნენ შავი რკალები.

მოხუცი პირსახით დაემხო ბალიშზე და თავი ხელებით დაიფარა. საათის ქანქარა თითქო ტვინის კოლოფში ჩაძვრა და დასუქულ თვალებშიც კი კრთოდნენ და ბზრიალებდნენ მუქი რკალები. კეფაზე ჩაქუჩივით ურტყამდა რალაც, საფეთქლებთან ძარღვები გაწყვეტას ლამობდა და მძიმედ, ოდნავ ხრიალით სუნთქავდა.

მოხუცი მიხვდა, რომ მალე გრძნობას დაჰკარგავდა. მთელი ძაღლონე მოიკრიბა და ფეხზე წამოდგა.

მშველელი არავინ ჰყავდა. გარშემო კი: რკალები, შავი, უფრო მუქი, ცოტა ღია ფერისა, ისევ შავი... შაურიანის ოდენა, ხელის გულის სიგანე, გაფრენილ ყორნის მსგავსი...

გასამხნევებლად ჯიბიდან სპირტის ბოთლი ამოიღო და საცობი მოხადა. ბოთლიდან ამოვარდნილ მძიმე სუნისაგან თავი უკან გადასწია, მაგრამ იმ წამსვე სწრაფად მიიყუდა ქურჭელი და მღვრიე სითხეს ხარბად დაეწაფა.

სასმელმა ყელი დაუთუთქა, სული შეუგუბა და ხველება აუტყდა.

მოხუცი მთელი ტანით ათრთოლდა, შეტორტმანდა, ხელები ჰაერში გაასავსავა, გონება დაკარგულმა წინ ნაბიჯი გადასდგა და იატაკზე გაიშხლართა.

ბოთლი წკრიალით დაიფშენა და დაღვრილი სითხე კლაკვნით გაჰყვა ფიცრებს.

თურასელმა სცადა წამომდგარიყო, მაგრამ ველარ შესძლო. თვალებში შავი რკალები აუთამაშდნენ, ჭერზე დაკიდული ელნათური დაჰფარეს და ბგერებად ალივლივდნენ. რკალები გაიზარდნენ, ლაქებად იქცნენ, მოხუცს შემოეხვივნენ. მისი უღონო სხეული აიტაცეს და ქანქარის რხევას აყოლეს. ყოველივე შავ ლაქად იქცა და ლაქა ბგერებისაგან ლივლივებდა. ბგერები რახუნით აღნიშნავდნენ დროის შეუჩერებელ სვლას.

მოხუცმა უღონოდ გააქნია თავი და მიხვდა რომ გუშმათის საათი ასე ხმამაღლა და შეუბრალებლად მის უკანასკნელ წუთებს ითვლიდა.

დრო ისევ განაგრძობდა სვლას.

ოლიველი წინაპრების მოსაპონარი

დამატარებდა ბალში აპრილი,
ვარდ-ყვავილების ეშხით ვიწოდი,
მაშინ არ მცნობდა პონტოს ნაპირი,
ოდიშის ვარდებს მე არ ვაცნობდი.
დღეს შევიცანი მშობელი მხარე,
ათასი ნერგი საძმო ხელს მიწვდის,
ჩემებრ შესცინის ზაფხულის დარებს
ზღვა ჭირნახული კოლხური მიწის.
ვამბობ: ჩემია ეს მზე, ეს დარი,
ეს ბალ-ვენახი მზის ქვეშ რომ ჰყვავის,
ჩემია ჩაის ყველა ჰექტარი
და რძე დაღვრილი ყანების ხეავი.
ზღვიდან მოსული გრილი ბორიოც
ჩემებრ შემღერის გაშლილ ბუნებას,
შეჰკვივლებს ხეებს, და მე მგონია,
ოდიშის მიწა მეხმაურება.
ასე მგონია, თვალებში ჩაჯდა
ოდიშელების ბალების ჯანი,
ასე მგონია, მიწიდან ადგა
უტუ მიქაეას დაშლილი ჯარი.
და მინდა წარსულ ქარსა და მერებს
გამოვადევნო სიტყვის მახვილი,
რომ მივაწვდინო ასი წლის მერე
სამარის მკვიდრებს ჩემი ძახილი.
რომ გავაგონო მამას, მამის ძმებს,
ნუგეშის მცემი სიტყვა შორიდან
ვუთხრა: რა გვალხენს, რა გვახალისებს,
ნანატრი დილა როგორ მოვიდა.
როგორ შემოჯდა ტოტებზე ლალი,
როგორ ავშაღეთ ხნულში გიშერი,
როგორ ჩავვიდგა მუხლებში ძალი,
როგორ გადურჩა ქარს ოდიშელი!..
მინდა ეს ვითხრათ, ამართეთ ხელი.

287
21

ვინც ჩამოგეშორდით დიდი ხანია,
ვინც აქ ყოფილხართ მრავალი წელი
და ერთხელაც არ გაგიხარიათ!
მოგიხმობთ ჩვენთან, ვისაც გინდოდათ
ოდიშის მიწა მზეში გენახათ,
სძლიეთ საფლავის უამინდობა,
მოდით, ოდიში ნახეთ ხელახლა!..

დეკევათან

მუხების ჩრდილი ეფინა მოლთან,
მაისის ღამე სუნთქავდა მშვიდად.
მთების ცინცხალი ნიაფი ჰქროდა
და ბულბულების გალობას შლიდა.

ღია კარებში მოსჩანდა — როგორ
ახვევდნენ ქადებს ფოთლებში სუფთად,
მერე ქვევრებსაც მოხადეს ორგო
და გვირდებოდნენ იმერულ სუფრას.

ის მიაბობდა: ცისმარე დილით
სად გაავდებდნენ გუდით, კომბალით,
რომ არსად იყო ალერსი თბილი,
და ბავშვის თვალზე ცრემლისმომბანი.

თითქო აფრთხობდა წარსულის ლანდებს,
კოლმეურნეთა ხმების ზრიალით,
მე ვუსმენდი და ვფიქრობდი რამდენ
გლესს ჰქონდა მისი ხვედრი ზიარი.

და საამაყოდ ჰქონდა დეპუტატს
ხალხის ნდობა და საქმე ამგვარი...
ვხედავდი — როგორ ამალღებულა
იგი ერთი და ათასთავანი.

დავრჩი მსურველი იმისი ხვედრის,
ვუქებდი ოჯახს გვირობის შედეგს,
თამბაქოს დინჯად ქალაქში ვხვევდით
და ვაბოლებდით ხალხით შემდეგ...

ვუსმენდით: ერთი ბულბულის სტვენას
ეჯიბრებოდნენ სხვები ბალიდან;
საესე სუფრასთან ვიჯექით ჩვენაც
და ეს უთვალავ ვარსკვლავს გვაყრიდა.

ჩაიღღ-კაჩოღღის გაღღაჩინა

1.

ღრუბღღებს გაიკრავს ცის და ზღვის ქარვა,
საღამო წვება ღღის მიმქრალ აღში.
ზღვა აბობოქრღღა, ხომალღღი მძღღავრღღად
მიაპობს ტაღღღებს გრივღღალში აშღღიღღს.

გავცქერი სივრცეს მე აღმღღაფრღენით,
მაღღე კვღღავ ვნახავ მშობღღელ მთავორღღებს.
ზღვა ბობოქარობს, ხომალღღი ჩვენი
ზანტად ირხევა და მიგვაქროღღლებს.

ვტოვებთ ესპანეთს, მშვენიერს მეტად,
ხალხის თვღღლები შეტრღღფიან აფრღღას.
ჩემო ქვეყნღღავ, მშობღღელო ღღეღღავ,
მიტაცებს შენსკენ არწივის სწრღღაფღღვა.

2.

ისეღღე ბობოქრობს ზღვა გამღღაფრღებით,
გემი მხუიღღლით მიაპობს ტაღღღებს.
ქარმა დაგღღლიჯღღა ღღრუბღღლის აფრღღები
ცაზღღე, და თითქოს მზის კარებს აღღღებს.

ჯერ ისეღღე ბნელღღა, ხომალღღი მიქქრის,
მივქრღღივართ ჩვენც და ზღვა ვერ გვაშინღღებს...
უეცრღღივ ქარმა მომტაცღღა ფიქრღღი,
გაპქრღღა, ჩაინთქღღა ისეღღე ზღვაშიღღე.

შუქი გამოკრთღღა შორიღღდან რაღღაც,
ეუბნღღოვღღებით, შევღღასწარ თვღღალი:
ცეცხღღლის ფაფარღღი აშღღლია ტაღღღღას,
მაღღლა ღღრუბღღლებსაც ეღღღებთ აღღღი.

შივედით ახლოს, ზღვასავით ვლელავ,
იწვის ხომალდი, ზღვის სიღრმე ითრევს.
მგზავრები უკვე აშლილა ყველა
და ჩვენსკენ ცურვით აპობებ ზვირთებს.

ალარ სიანს ცეცხლში ანძა და აფრა,
განწირულთა ხმა ისმის საზარი...
წამოვიშალეთ გემიდან სწრაფად,
ვერ გვაკრთობს უნდო ლელვა, ხანძარი.

მოვწყდი ზომალდს და ჩავეშვი ზღვაში,
ტალღებს მოვტაცე მოხუცი ერთი...
— კვლავ ბაქანზე ვართ, — ის შუბლის გაშლით
მეყრდნობა მკერდზე ცახცახა მკერდით.

შეუთბა გული... მის მიმქრალ ხმაში
მე ვიცან ბევრი ტანჯვის ამტანი.
ცივი ქალარა უელავს თმაში,
მთლად გაცრეცია მიმქნარი კანი.

მის მკრთალ თვალებში სევდის ზღვა არი,
ღრმა ნაოკებში, — ნისლის ჩრდილები,
ძლივს სუნთქავს... ნეტა რომელი მხარით
მოღის ამგვარი შთაბეჭდილებით?!

შფოთავს მოხუცი და იკრფეს ღონეს,
მიცქერის ჭაბუკს... ვერ ვიტან ლოდინს,
თვით მსურს შევიცნო, ვერ მოვიგონე...
ბოლოს თავს მაცნობს: „— ჩაილდ-ჰაროლდი!“

3

ზღვას შევებრძოლეთ, გრივალს, ქარიშხალს,
ცეცხლში ჩავეცინდით, რომ გვეხსნა ხალხი.
გამარჯვებულნი შევხვდით გარიჟრაჟს,
ახლა ზღვაც დაცხრა, მზე სხივებს გვაყრის.

ახლა ზღვაც დაცხრა, მოღლილი ქარი
ტალღების გულში ჩაწვა ღრუბლებით.
გვახარებს ზღვაზე მზიანი დარი,
მივქრით, სამშობლოს კვლავ ვუბრუნდებით.

ვდგევართ ბაქანთან მე და ჰაროლდი,
ის მზეს შესცქერის, მიაბობს შფოთვით:
„ — ვიტანჯე მშობელ მიწით, წყაროთი,
შევიძულე და წყევლით გავშორდი.

ვიარე ბევრი, მოველე სოფელი,
ილივს გადაფურჩი სტიქიას მრავალს,
ყველგან შხამი მხვდა დაუშრობელი,
ვერვინ სიცოცხლე ვერ ამიყვავა.

აქ მოვალწიე, მზიბლავდა მუდამ
მე ესპანეთის ჯა და მთაბარი,
მესმა ქუხილი და ახლა მსურდა,
რომ იქ მქონოდა თავშესაფარი.

მაგრამ უეცრივ დამიხვდნენ გზაში,
ყუმბარის ცეცხლით გზა მომიკვეთეს,
ვიღუპებოდი, თქვენც მოდიოთ მაშინ
და მომეშველეთ, როგორც მოკეთეს...“

მომაპყრო თვალი, თითქოს უშრება
მიმქრალ სიცოცხლის ეს ნაპერწკალიც...
ზღვაზე არილი შეიშმუშნება,
ვით გაცრეცილი ოქროს ზეწარი.

გემი მიაღვევს ზღვის მარმარს ფართეს,
და ნამსხვრევების ჩხრიალი მესმის.
ზეცის შეიდფერად მოქნეულ სარტყელს
აქვს ფხასისხლიან ფრანგულის ეშხი.

4.

აი, გამოჩნდა ნაპირი მიწის,
მცურავი ოქროს ბრწყინვალე ტბაში!
ჩვენსკენ მოფრქვეულ ხმელეთის სიცილს
ხალხის ყიჟინი შემოჰყვა ზღვაში.

სხივდახუნძლოლი მზეში ანძები
შეირხნენ ზანტად, თითქოს თრთიანო...
ედგა ჰაროლდი, სთქვა აღტაცებით:
„ — ნეტა ეს მიწა რად ანთიაო?!

დიდიხნის წინათ ვიყავი აქაც,
გმინავდა ხალხი ლაფში ჩაფლული...
ოჰ, საოცრება! ბნელი სად გაქრა,
ვინ ააყვავა ეს გაზაფხული?!

ვინ გააჩინა ეს მიწა თართო,
და წაუკიდა ცეცხლი მარადი?!
ეს დაუშრეტი მზე ვინ აანთო,
ვის მოყვა იგი გლეხის კარამდი?!

მასსოვს: მოვედი, შევხვდი ბინადარს,
უსიცოცხლოს და დამჰკნარს სრულებით...
ახლა ვარდი ვინ დააფინა და
ვინ აამბოხა მათი ზუღლები?!

ვინ გაატყბილა სიცოცხლე მწარე
და ვინ დააშრო კაცთა ვარამი?!
დიდება იმას, შის მშობელ მხარეს,
იმას პირველად ჩემი სალამი!..

სთქვა და აღმართა ცისკენ ზელები
და სიხარულით აენთო სრულად,
მზეს შეაცქერდა ყელმოდერებით
და თითქოს ხედავს იმ კაცის სურათს.

მზეს შეაცქერდა, ედება ტანზე
მიწის ცეცხლი და ტკბილი სურნელი.
უცებ გრიალი გაეკრა ცაზე,
თითქოს აქუხდნენ საუკუნენი.

შეერთა ჰაროლდი, უღელავს ტანი,
ხედავს: მზეს შეხვდა არწივთ კრებული
და ასოებად აფეთქებული
მზესთან დალაგდნენ, დასწერეს — სტალინი!

იცნო, შესძახა: „ — სტალინი დიდება,
სალამი ახლად გაჩენილ კაცის!“..
მიწის კოცონი წაეკიდება
და ღღევა ტანში ზამთარი მკაცრი.

5.

შევადგით ფეხი ხმელეთზე ღელვით,
მღერიან მშობელ ქვეყნის შვილები.
გაშალა შუბლი, ჰაროლდიც მღერის
და ნაოჭებში ჩაშრა ჩრდილები.

გახსნა მკერდი და გული ბებერი
მზის, ნარინჯების ცეცხლში დაიწვა.
ეს ამდენი ხნის აუნთებელი
სულმთლად ანთო ამ დედამიწამ.

ამოშრა გული სიმწარით სავსე,
იგრძნო ძალღონე ქაბუკის გვარად.
იამა მოხუცს... და უნდა ასე
ამ ნარინჯებში იწვოდეს მარად.

ლამე ბანაკში

მაღალ მთაზე. ვარ, თოვლის გუნდით
მთვარე მათეთრებს სხივთა ნამქერით.
გულში გროვდება ფიქრი მუდმივი
და სიხარულით ბანაკს გავცქერი.

მოჩანს ქალაქი ველზე გაშლილი
სახე ბრწყინვალე თეთრი კარვებით,
მოჯავშნულია მებრძოლთ კავშირით
ვრცელი ბანაკის ყველა კარები.

სძინავთ მებრძოლებს სუფთა კარვებში,
მხოლოდ არ სძინავს ფხიზელ მორიგეს.
ყარაულებმაც შორს მთის მხარეში
ლამის მჩქეფარე გული მოიგეს.

ცაში ვარსკვლავთა რაზმი ციალებს,
მთვარე ღრუბლებში მოჩანს ფარულად
ლამე ვით ქურდი მოხეტიალე
ტილოს ქალაქში შემოპარულა.

სადღაც ხმაურობს ცელქი მდინარე,
ქალაქს ელშუქი თეთრად ანათებს,
გამარჯვებული მებრძოლთ ბანაკი
სწერს სახვალის ბრძოლის ბარათებს

დილით შესძანებთ ლაქვარდს დიდებას.
შუქი შემოვა ლამაზ ფერებად.
თქვენი ხალისიც მოეკიდება
ცის ქვეშ თანდათან შემოთენებას

ზან საგანგაშო ბუკზე იღვიძებუ,
სწრაფად დადგებით რიგში ძახილზე.
გულუმიზარნი, როგორც კიკვიძე
ფრონტზე მხნეობას გამოაფხიზლებთ.

შალალ შთაზე ვარ, ცაზე ციერი
წყდება, გზადაგზა ქრება ქარულად:
ღამე ქურდული, ღამე ხნიერი
ტილოს ქალაქში შემოპარულა.

ორი ლექსი

მთვარე მტკვარის სანაპირო ხეივანში

იყო მაისი და ღამე ცაში
ურიცხვ ნაკვერჩხლებს ითვლიდა დიდხანს.
ახალ გმირების მოედნის კარში
და ჩელუსკინის ზურგმაგარ ხიდთან.

ვით მზესუმზირას მორცხვი-თვალეები
და ძირს დახრილი კითხვის ნიშანით,
მოფრინდა, დაჯდა ნაფერმკრთალები
მთვარე ამ ბაღში შეუნიშნავედ!

მოფრინდა შორით ნამგზავრი მშვიდად,
ციურ ვარსკვლავთა თამადის ეშხით.
თვალიდან ელვის ნაპერწკლებს შლიდა
დაბინდულ სივრცის მღვრიე ტალღებში.

მოფრინდა, ნახა.. ანთო კვარი,
როგორც მან თურმე იცოდა ძველად.
გზაში შემოხვდა ამაყი მტკვარი
მზიურ შადრევნის ელნათურებად.

იუკადრისა მთვარემ დამხდური,
მასში თავისი მეტოქე ნახა.
— გზა მიტიეო, — უთხრა აღმურით
და მედიდურად დაუწყო ძრახვა!

მტკვარმა მიუგო: — თუმცა რამდენი
დროგადასული სითბო დავღვარე,
სამშობლო ჭირში გადანარბენი
ნასესხებ სხივით ვერ გაახარე.

— მე ხალხის გულში ბინა ვიგულვე,
ხალხის სიცოცხლით შუქის მთოველი.
ამ წყვედიად ღამის მესაიდუმლე —
ცისა და ქვეყნის მანათობელი“

მერე უეცრად სხივი ფარული
გადაანათა ველს და მიდამოს.
— ჩემს ბაღში უცხო შემოპარული
ჩემდა მბრძანებლად აღარ მინდაო.

მოსულს ხეივნის სიელვარეში
ღრმა სინანულის ეჭვები ჰკლავდა,
ვერრა ეპოვა ნაჩვევ არეში,
განახლებული ბაღების გარდა!

შეკრთა, მორცხვობა დაეტყო უმალ,
აღარ სჯეროდა სიმართლე დღემდე
და ფეხაკრეფით გაბრუნდა უკან —
რომ მტკვარი დახვდა სინათლის მეფედ.

ლიმონის ბაღში

იყო საღამო მშვიდი და მერე
ოცნება იწვა ნარინჯის ტბაში.
მოდო, ლამაზო, იმ ზმით მიმღერე,
რომ სიყვარულმა დაგიკრას ტაში!

შევებით ჩაძირულ სინეტარეში
შენზე ფიქრები სულ დიდხანს ვთვალე.
გამხარებია დიდება შენში
და კოლხიდური უღრუბლო მთვარე.

გნახე ლიმონის ბაღში ასული
დაკოკრებული, გაშლილი ვარდად;
შენს სიყვარულში ცემდა ეს სული,
შენგან ნაზარდი ხეც შემიყვარდა!

მღერის ბუნება და მოციმციმე
ზღვა ლურჯთვალემა ხმაურობს ნელა.
შეივლი ბაღში და შემოგცინებს
ტანაშოლტილი ბუჩქები ყველა.

ო, ჩემი გულიც ამღერებელი
შენს სურნელოვან ბუჩქებს რგებია:
მგონია, თითქოს აელვებული
ცით მოტანილი ვარსკვლავებია.

შე სად ვეძიო შენს გარდა იქეთ
შენზე ლამაზი, სათნო მეტადრე.
ჩა უჭირს, კარგო, უვლიდე ლიმონს
და ლიმონივით მეც შეგიყვარდე!

კლასიკური მემკვიდრეობა

ფრ. შილერი

პერო და ლეანდრა

ბ ა ლ ა დ ა

ხედავ ძველ კოშკებს, აზიდულს ცამდე,
ჰევანან ვეება ოქროსფერ ლანდებს,
როცა მზე აფრქვევს სხივებს ელვარეს,
სად ჰელესპონტი მედგარი სრბოლით
დარდანელის კლდის ნაპრაღთა შორის
მძლედ მოაგორებს ზვირთებს მღელვარეს.
გესმის ტალღათა გრგვინვა-გრიალი,
როს ეხეთქება სალ-კლდეებს რისხვით?
მოსჭრა აზიას ევროპა, მაგრამ
სიყვარულს მაინც ვერ აკრთობს შიშით.

ლამაზ პეროს და ლეანდრეს გული
ამუროს ალით აქვთ დაისრული
და სისხლს უთრთოლებთ ტკივილი მწველი.
პერო-ღვთაება ჰებას ჰგავს სახით,
ხოლო ლეანდრე გმირიჲ ლალი
და მონადირე შეუდრეკელი.
მაგრამ გასთიშა მშობელთა რისხვამ
ტრფილის ცეცხლით მგზნებარე წყვილი,
და განსაცდელის უფსკრულს დაჰკიდა
უნაზეს გრძნობის ტურფა ყვავილი.

ტესტოსის კოშკში, — რომელსაც ზათქით,
მძლე ჰელესპონტის ზვირთები მძაფრი,
ეხეთქებიან ქაფმორეული,
ზის ტურფა, სევდით ვულდანასერი,
და აბიდოსის ნაპირს გასცქერის,
სად ეგულება სატრფო რჩეული.
აჰ, შორეული ნაპირისაკენ
არ გაიდება ხიდი მაღალი!
ნავიკ არსად ჩანს, მაგრამ სიყვარულს
ძალუძს იპოვოს თავის გზა-კვალი!

ტრფობას ვერ აკრთობს გზა გაუვალი,
ის გულს ათრთოლებს ციური ძალით.
ველურ ნადირებს უღელს დაადგამს,
აგონიერებს გიჟს და აწყნარებს,
და ცეცხლისმფრქვეველ გოლიათ ხარებს
აღმასით ნაჭედ გუთანში აბამს!
თვითონ სტიქსიც-კი ცხრატოტიანი
ვერა სძლევს მიჯნურს, იმედის მფლობელს.
და გამოსტაცებს საყვარელ სატრფოს
ავი პლუტოსის შავბნელ სამყოფელს.

ჭაბუკ ლეანდრეს მოყვასი გული
ჭეროს ტრფიალის ცეცხლით გზნებული —
უფრო მტკიცე და მედგარი ხდება.
და როს ნათელ ღღეს მოიცავს ბნელი,
იგი საყვარლის ნახვის მსურველთ
მღელვარ პონტოსში გადაეშვება.
ზვირთებს გააპობს მაგარ მკლავებით,
ვერ ღლის სტიქიის ძალა ველური,
მიადწევს ნაპირს, სად მაღალ კოშკზე
ჩანს ჩირადდანი გაბრწყინებული.

ამ დროს იღება დიდ კოშკის კარი,
და მამაც მიჯნურს ჰერო ნარნარი,
ჩაიკრავს მკერდში თავდავიწყებით,
ვაჟი დაღლილი ტალღებთან ბრძოლით
ტკბილი ალერსით გულ-ანათრთოლი
სატრფოს მკლავებში ისვენებს შვებით —
იუფლებს ჯილდოს, ღვთის ნამამაგარს...
როს განთიადი იელვებს ცაში,
ვაჟი მოსწყდება საყვარლის მკლავებს
და კვლავ ეშვება მღუმარე ზღვაში.

ასე მოპარულ ნეტარებაში
ოცდაათმა მზემ, ცეცხლიან რაშით,
გადაიჭროლა ცის თაღი ვრცელი,
და ვით ქორწილის პირველი ღამე
მიჯნურთ ათრობდათ ტრფობის სიამე
თვით ღმერთებისთვის შურის აღმძვრელი.
მას არ უგრძნებია ბედნიერება,
ვისაც ციური ნაყოფი ტკბილი, —
ქვესკნელში მსრბოლავ მდინარის პირად
არ მოუპარავს გრძნეულ სიფრთხილით!

ავრორას სცვლიდა ზეცაში, ღამით,
ლურჯი ჰესპერი, ნაზი კამკამით.
მაგრამ მიჯნურნი სიამით მთვრალნი,
ვერც-კი ამჩნევდნენ ჯანლიან დღეებს.
როგორ სცვივოდნენ ფოთლები ხეებს
და მოდიოდა ცივი ზამთარი.
მათ ახარებდათ დღის შემოკლება,
ხიბლავდათ უამი, ბნელით მოცული.
და გრძელ ღამეში ნეტარებისთვის
ზევესს მადლობას უძღვნდნენ გულით.

ცას ზოდიაქომ გაავლო ლარი
და დღე-დაღამე ჰყო თანაბარი.
ასული კოშკზე დგას, სატრფოს ელის.
აჰა, ცისკარმა გაშალა ფრთები,
სივრცე გაჰკვეთა ცეცხლის რაშებით.
ლურჯად კამკამებს ზღვის სარკე ვრცელთ-
მეფობს სიმშვიდე და მყუდროება,
არ ისმის ზვირთთა ნელი ჩოჩქოლი,
არც ნიავე ჰქრის მსუბუქფრთიანი,
დადუმებულა სამყარო ბროლის.

მხოლოდ ზვიგენტა ლაშქარი შავი,
ლაყვარდ სიღრმეში ლაღად მცურავი,
დაბორიალობს, ვით ზვირთი დიდი,
და უფსკრულიდან ნელინელ რხევით
ვეება მწკრივად იწვევენ ზევით
კრელი ბრბოები ავი ფეტიდის.
ეს ერთად-ერთი მუნჯი მოწმენი
შეყვარებულთა ფარულ კავშირის!
რომელთ ჰეკატამ, განრისხებულმა,
სამარადისოდ დაუბზო პირი.

ჰეროს სიამით ევსება გული,
და მოკამკამე ზღვით მოხიბლული,
ლამაზ სტიქიონს მიმართავს ასე:
„ო, ღმერთო, შენი სიმართლე მჯერა,
და ვინც გიწოდებს ცბიერს და ვერაგს,
თვით ცბიერებით არის აღსავსე.
აღამიანთა მომდგმა ყალბია,
და მამაჩემიც გულქვაა მეტად,
შენ-კი ნაზი ხარ და ღმობიერი
და გულს გითრთოლებს მიჯნურის სევდა.“

აჲ, ბნელ კედლებში, მალალ კლდის პირად,
სევდით მოცული, შხენილი მწირად,
მე დავექნებოდი, გაუხარელი.
მაგრამ ო, ჩემო იმედო ზღვაო,
შენ მოგყავს ღამით ჩემთან უნაოდ
ჩემი სიცოცხლის მზე-საყავარელი.
თუმც საშიშია უფსკრული შენი
და ზვირთთა ხლტომა რისხვა-ზარული,
მაგრამ გაოკებს, ხშირად გამშვიდებს
გმირთა მხნეობა და სიყვარული!

„სტიქიის ღმერთო, ეროსის ხელით,
შენც მოგხვედრია ისარი მჭრელი.
როს ოქროს ვერძი უტურფეს ჰელას,
ასულს უნაზესს, ღვიძლ ძმასთან ლტოლვილს,
მოაქენებდა შენს მკერდზე ქროლვით,
და არ აკრთობდა ტალღათა ღელვა.
შენ, მოხიბლულმა მისი მშვენებით
გამძვინვარებით დაიწყე გმინვა,
მყის გამოსტაცე ოქროს ვერძს ჰელა
და ბნელ უფსკრულში მიეცი ბინა.

„ჰელა, ღმერთქალი, დამწველი ეშხით
ღღეს სცხოვრობს, ზღვაო, შენს ლურჯ მღვიმეში.
მფარველი დევნილ სიყვარულისა.
იგი გამშვიდებს — შენი მისანი,
და ზომალდისთვის მხოლოდ ის არის
საყვუდელისკენ გამკვლევი გზისა.
ტურფა ღმერთქალო, ო, ნაზო ჰელა,
შეყვარებულთა შენ ხარ მფარველი!
ვემუდარები ღღესაც მომგვარო
ჩემი ტრფიალი და საყვარელი!“

უკვე შებინდდა. ზღვას, მტოკავს წყნარად
თაღხი ბურუსი გადაეფარა.
და კოშკზე ქალი აენტო ისევ —
უღაბური გზის მანათობელი.
ქაბუკ მიჯნურის თვისკენ მხმობელი,
მისი იმედი და სიხალისე.
მაგრამ იმღვრევა უფსკრული ზღვისა,
ჯანლით ბნელდება ზეცა ნათელი,
ზვირთნი იწყებენ ნელინელ გუგუნს
და ახლოვდება კორიანტელი.

ღამემ გაშალა ყარყუმის ფრთები,
და ცად დაკიდულ ღრუბელთა მთებიზ
გადმოსკდნენ წვიმის შავი ღვარები.
ელვამ გაჰკვეთა ღრუბელთა ჯარი.
გრივალთ დასტოვეს თავშესაფარი
და იწყეს გრგვინვა გამძვინვარებით.
ვეება მორევს ეკვეთნენ ძლევით
და ნაპრალების გაავლეს ზოლი,
პონტოსმა ღრჭენით დაალო ხახა
და მძლედ გაისმა ზვირთთა ჩოჩქოლი.

— „ვაიმე, — ჰეროს, აღმოხდა მწველად.
მაღალო ზევსო, მექმენ მფარველად.
ღმერთო, რად გვედრე, აჰ, ვნანობ ეხლა!
იქნებ მიჯნურმა შენი იმედით
მაცდურ სტიქიონს მიანდო ბედი,
არ შეუშინდა ზვირთებთან შეხლას.
ფრინველნი ზღვისა ეძებენ ბუდეს
სტოვებენ მძვინვარ პონტოს ქაფიანს,
ხომალდნი ქართამ ბრძოლას ჩვეულნი
საყუდელისკენ მიისწრაფიან.

„აჰ, წინათგრძნობა გულს ელდით სერავს,
ჩემი ლეანდრე ზღვაშია მჯერა!
ვერ აკრთობს ქართა მძაფრი ქიდილი.
განშორების ჟამს, იმედით მტკიცემ
მე შემომფიცა რომ მნახავს ისევ
და ამ ფიცს გასტენს მხოლოდ სიკვდილი.
აჰ, ამ წუთს, ალბათ, ებრძვის ქარიშხალს
გაათორებული, სალკლდედ ქცეული.
და ბნელ უფსკრულში ჩანთქმას უქადის
შმაგი მორევი, ცოდმორეული.

„ცბიერო პონტოს, სიმშვიდე შენი,
ნელი ლივლივი, სიამის მფენი,
იყო ნიღაბი ვერაგულ გზნების.
სთვლემდი ნარნარად დაოკებული,
ვიდრე ლეანდრე, გულანთებული,
არ შეიტყუე ზვირთებში თნებით —
და გააქროლე სიღმეში სწრაფად,
უკუმიქცევის დაუხშე გზები,
და მოღალატემ თავს დაატეხე
გაათორებული შენი ზვირთები!“

გრიგალი უფრო ღმუის, ხელდება,
ბობოქარ ტალღებს, აწვდილქ ქედებად,
მიმოაგორებს, ზათქით გრიალებს.
კლდეს შეაჯახებს და დაცემს თავზარს,
შემდეგ მისწვდება ხომალდებს მაგარს,
მილქ-მოლენწავს და ატრიალებს.
და მიჯნურის გზის მაჩვენებელი
კოშკზე მბჟუტავი კანდელიც ჰქრება.
ზღვა და ხმელეთზე ნაეარდობს, ჰყივის
რისხვადქცეული საშინელება!

და აფროდიტეს შეელას სთხოვს ჰერო,
რათა ზღვის ღელვა, საბედისწერო,
შესწყვიტოს ქარმა, მისი ბრძანებით.
სამაგიეროდ იგი მზად არის —
შესწიროს მსხვერპლად გრივალებს ხარი,
ოქროთი ნაქედ ლამაზი რქებით.
ვალალებს ჰერო, ზარდაცემული,
და სხვა ღმერთებსაც ემუდარება —
არ დაიშურონ ძალი და ღონე,
და დააოკონ ზღვის მღელვარება.

„ო, ლევკოტეა, ვთხოვთ უბედური,
ჩემს მუდარებას ათხოვო ყური,
დასტოვო შენი დარბაზი მწვანე!
შენ ზომ მრავალგზის — განადგურების
უფესკრულს შთენილი მეზღვაურები,
განსაცდელისგან გამოიყვანე.
ვთხოვ, მიაწოდო ლეანდრეს, მამაცს,
შენი გრძნეული ტანსაბურველი,
რომელსაც ძალუძს დაიხსნას იგი,
ჩემი სიცოცხლის მზე-სასურველი.“

მშვიდდება ქარი, ცა მოკაშკაშე
მიაფრენს ზევით ეოსის რაშებს.
ტოკავს ეთერი გაბრწყინვალებით.
დაოკებული, მშვიდი და წყნარი
ზღვა-ვრცელი სარკე გასაოცარი,
უღიმის ზეცას ლურჯი თვალებით.
ზვირთები ნაპირს ეშხეფებიან,
კრთიან ლიკვლივით, ვით ბროლის მძივი,
და უსულო გვამს ნაპირისაკენ
მოაქანებენ ნელი ტივტივით.

ეს ლეანდრეა, შავბედით კრული,
მან შეასრულა ფიცი აღთქმული
ჰერომ მყის იცნო მიჯნური გულის.
გოდება მას არ აღმოხდენია,
არც მწუხარების ცრემლი სდენია.
უცქერის ცხედარს გაქვავებული.
ხან აკვირდება უბედურ მორევს,
ხანაც გაჰხედავს ეთერს მშვენიერს,
და ცეცხლის ალი კეთილშობილი,
აუელვარებს მკრთალ სახის იერს.

— ღმერთებო, გცანით, ხართ ულმობელი,
მეტად გულქვა და დაუნდობელი —
და სამართალი გქონიათ მკაცრი.
ჩემი სიცოცხლე, ვაჰ, ამ წუთს ჰქრება,
მაგრამ ვიგემე ბედნიერება,
და ჩემი ბედი იყო წარმტაცი.
შენი ქურუმი ვიყავი მარად
ო, აფროდიტე, ასულო ზღვების.
შენი ღალატით იავარქმნილი
შენთვის მხიარულ მსხვერპლადვე ვკვდები!"

უცებ შეირხა, გაჰხედა სივრცეს,
და ზღვის უფსკრულში ჩაეშვა მყისვე.
სტიქიის ღმერთმა, ცბიერმა მარად,
წმინდა ცხედრები იხილა როცა,
ნელი შრიალით ზვირთები სტყორცნა
და ლურჯ სიღრმეში დაასამარა.
და კმაყოფილმა ახალ ნადავლით
ლაქვარდ სტიქიონს შეერთო თრთოლით,
სად დაუშრეტელ ლარნაკებიდან,
შდინარებს მარად ნაკადი ბროლი.

თარგმანი გერმანულიდან ხაჩატონ ვარდოშვილისა.

ქართული თეატრის წარსულიდან

ნ ა წ ყ ვ ე ტ ი

დაღა 1909 — 1910 წლის სეზონი, ქუთაისში დარმატიულ საზოგადოების გამგეობამ დასის ხელმძღვანელად მიიწვია ვალერიან გუნია, და ჩვენი მაშინდელი პრემიერები ნინო ჩხეიძე და ნინო დავითაშვილი გუნიას ქუთაისში წაიყვანა. ხვენ ტფილისის დასი, დარჩა უპრემიეროდ, ე. ი. დრამატიულ როლების აღმსრულებელი ქალი აღარა გვყავდა. გამგეობა საგონებელს მიეცა, აღარ იცოდა სეზონი როგორ დაეწყო.

რეჟისორებად მოწვეულნი იყვნენ კოტე მესხი და კოტე შათირიშვილი. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ დასში მოწვეულნი იყვნენ ახალი ძალები, ანა ჩირგაძე, ნინო კოლხიძე (კრინიკაია) და შალვა შარაშიძე (ცნობილი იუმორისტი-მწერალი), რომელთაც ჩემს მიერ ლენინგრადში (მაშინდელ პეტერბურგში) გამართულ წარმოდგენა „ლალატი“ მიიღეს მონაწილეობა, და საზოგადოების ყურადღება დაიმსახურეს.

სეზონი გაიხსნა ტრადიციული „სამშობლოთი“ კ. მესხის რეჟისორობით, რომელშიაც ლევან ხიმშიაშვილის როლს თამაშობდა შალვა შარაშიძე, ხოლო ქეთევანს ნინო კოლხიძე. შრომა და ენერჯია არ დაიშურეს ორთავემ, რომ ეს რთული როლები როგორმე დაეძლიათ, მაგრამ მაინც სათანადო შთაბეჭდილება ვერ მოახდინეს: ამ რთულ როლში გამოუცდელი სცენისმოყვარეების გამოყვანა, რა თქმა უნდა, დიდი შეცდომა იყო. ამას მოჰყვა სუფორინის „მედვას“ დაღმა. მედვას თამაშობდა პირველ გამოსვლისათვის ანა ჩირგაძე, ხოლო იაზონს შალვა შარაშიძე. რაღა თქმა უნდა, ნინო ჩხეიძის შემდეგ, ახალგაზრდა სცენისმოყვარის გამოყვანა იმისთანა რთულ და პასუხსაგებ როლში როგორც შედეგა, შეცდომა იყო. ამიტომაც მოხდა, რომ ვერც ანა ჩირგაძემ და ვერც შალვა შარაშიძემ სცენაზე ფეხი ვერ მოიკიდეს. ამ სეზონში ანა ჩირგაძემ თუ ითამაშა რაიმე რიგიანად, და საზოგადოებაზე მოახდინა შთაბეჭდილება, ეს იყო „ლალატი“, რომელიც ნათამაშევი ჰქონდა ლენინგრადში და კრუჩინინას როლი „უღანაშაულოდ დასჯილნი“, რომელთანაც ნუნამოვის როლს მე ვთამაშობდი პირველად ტფილისში. რაღა თქმა უნდა, რომ ორთავენი შალვა შარაშიძეც და ანა ჩირგაძეც სცენისათვის გამოსადეგარი ნიქს მოკლებულნი არ იყვნენ, რომ პირობები შეექმნათ მათთვის, მაგრამ მაშინ ძნელი იყო ახალგაზრდა გამოუცდელ მსახიობებისთვის რაიმე პირობების

შექმნა. რაც უნდა რთული როლი ყოფილიყო, სამი-ოთხი რეპეტიციით უნდა გეთამაშნათ, თორემ ისე შეუძლებელი იყო რაიმე პიესის დადგმა.

ისინი სამთავენი მოწვეულნი იყვნენ, როგორც პროფესიონალური მსახიობები და მათ კიდევ, როგორც გამოუცდელებმა სცენაზე ისეთი მძიმე მუშაობა ველარ შესძლეს. და ამიტომაც იყო, რომ ჩვენმა რეჟისორებმა რეპერტუარის გეზი შესცვალეს და ისეთ პიესებსა სდგამდნენ, სადაც ქალის როლი მაინცადამაინც ძლიერი არ იყო. ვიმეორებ, ანა ჩირგაძემ როგორც ახალგაზრდა მსახიობმა საზოგადოების ყურადღება და მოწონება დაიმსახურა კრუჩინინას როლით „უდანაშაულოდ დასჯილში“.. ეს პიესა მართლა კარგად წავიდა. კოტე შათირიშვილმა დადგა ის და ძალიანაც ეშინოდა ამ წარმოდგენისა, მით უმეტეს, რომ თვითონაც დებიუტანტი იყო ჩვენს თეატრში როგორც რეჟისორი. ამასთანავე ეს პიესა უწინაც მიდიოდა საუკეთესო შემსრულებლებით. მასსოვს სიტყვები ილიკო ზურაბიშვილისა, რომელმაც წარმოდგენის მეორე დღეს მითხრა: „წარმოდგენაზე რომ მოვდიოდი, ფეხები უკან მრჩებოდა და ვფიქრობდი, საწყალი ანა ჩირგაძისა და ნიკო გვარაძის ბრალი ამადამაო!..“ ჩვენდა საბედნიეროდ წარმოდგენა იმ ზომამდე მოწონა საზოგადოებას, რომ შემდეგი წარმოდგენისთვის სხვა პიესის დადგმა იყო გადაწყვეტილი, მაგრამ პიესის დამთავრების შემდეგ, ნიკო ქართველიშვილის მეთაურობით მთელი გამგეობა ამოვიდა სცენაზე და აღტაცებულებმა პიესის კარგი მსვლელობით განაცხადეს, შემდეგი წარმოდგენისათვის ეს პიესა უნდა იქნეს განმეორებული!..

და მართლაც იგივე პიესა იქმნა განმეორებული საზოგადოების თხოვნით და ხალხიც ბევრი დაესწრო.

ეს სეზონი დებიუტანტების სეზონი იყო. სწორედ ამავე სეზონში იყო მოწვეული მეოთხე დებიუტანტი, დათა მგალობლიშვილი (სოფრონ მგალობლიშვილის შვილი), რომლისთვისაც კ. მესხმა დადგა სარდუს 4 მოქ. პიესა „ჰაი გიდი მეგობრებო“ თავისივე თარგმანით, ამ პიესაში დათა მგალობლიშვილი თამაშობდა ახალგაზრდა მირისის როლს, რაც კარგად შეასრულა და საზოგადოებაზე საუცხოო შთაბეჭდილება დასტოვა. გარეგნობით მაინც ძალიან მოუხდა როლი.

დათა მგალობლიშვილი კომედიებისთვის ძალიან ნიჭიერი და ხალისიანი აქტიორი იყო. ბუნებით იყო კომიკი. სცენაზე რომ შემოვიდოდა, მხიარულებას და სიტბოს შემოიტანდა ხოლმე. ამასთანავე ძალიან ლამაზი ყმაწვილი იყო. კომედიებში მომზიბლველი და მიმზიდველი იყო. მაგრამ საწყალ დათასაც ის დაემართა ქართულ სცენაზე, რაც ბევრს ახალგაზრდა არტისტს დამართნია.

აქაო და ნიჭიერი და ხალისიანი აქტიორიაო, აიღეს და დრამატიულ როლებზე გადაიყვანეს. ჯერ იყო და ათამაშეს ჰერტი „იმედის დაღუპვაში“, რომელშიაც ძალიან სუსტი იყო, და სრულებით არ შეეფერებოდა რევოლუციურად განწყობილ მეზღვაურის როლს!.. მერე იყო და ათამაშეს „ღალატში“ ერეკლეს როლი. ვერც ეს როლი დასძლია. მერე, მგონი -- თუ არ ვცდები, ლევან ხიშიაშვილიც ათამაშეს „სამშობლოში“, ასე უბნიეს გზადაკვალი ამ ნიჭიერ ახალგაზრდა მსახიობს. დათა მგალობლიშვილი მასსოვს შირვანზადეს პიესაში „ნამუსისათვის“ სურენას როლში, „მარჯარიტა გოტიეში“ ვასტონის როლში, „აღლუმში“ მსუბუქაშვილის როლში. აი მგალობლიშვილი რა როლებისთვის იყო გაჩენილი!.. მაგრამ ქართულ სცენაზე მუშაობა მაშინ ისეთი აქტიორისთვის პირდაპირ შეუძლებელი იყო. რეპერტუარი არ იყო, რომ თავი გესახე-

ლებინა და წინ წასულიყავი. ეს იყო მიზეზი, რომ დ. მგალობლშვილმა ჩქარა დაანება ქართულ სცენას თავი და რუსულ ოპერეტაში გადავიდა. შეირთო ცოლად ოპერეტის გამოჩენილი მსახიობი ქალი ლაზარე~~ტი~~ და დაიწყო ოპერეტაში მუშაობა. სიმაართლე უნდა ვთქვა, რომ დ. მგალობლიშვილმა ოპერეტაში დიდ წარმატებას მიაღწია და მოსკოვის ოპერეტის დასში ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად ითვლებოდა „პროსტაკთა“ როლებისა და ნიჭიერა არტისტის სახელიც მოიპოვა. მაგრამ საწყალ დათას დიდხანს არ დასცალდა მუშაობა, მალე დაავადმყოფდა და თავის სამშობლოს მიაშურა. უკანასკნელად ითამაშა ჩვენი ოპერის მსახიობებთან ერთად ოპერეტა „სილვაში“.

* - *

ამავე სეზონში ღირსშესანიშნავი წარმოდგენა იყო კ. მესხის მიერ დადგმული „მარგარიტა გოტიე“ ალ. დიუმასი, რომელშიც პირველად მარგარიტას როლში გამოდიოდა. მაშინაც და ახლაც ჩვენი სცენის სასაქადულო მსახიობი ნინო ჩხეიძე. ნინო ჩხეიძე მაშინ უკვე სახელგანთქმულ მსახიობად ითვლებოდა ქართულ სცენაზე და რაღა თქმა უნდა, საზოგადოება დიდის ინტერესით მოელოდა, თუ როგორ შეასრულებდა მართლა ამ კლასიკურ როლს — რომელსაც მთელი ევროპის და რუსეთის გამოჩენილი მსახიობები თამაშობდნენ და თავის საყვარელ როლად ჰქონდათ მიჩნეული. პატივცემული მსახიობი ქალის სასახლოდ უნდა ვსთქვა, რომ ამ როლში მართლა გამარჯვებული გამოვიდა, განსაკუთრებით უკანასკნელ სამ მოქმედებაში, სადაც მარგარიტა სულიერ ტანჯვას განიცდის. ბოლო მოქმედება ხომ შედეგრი იყო შესრულებს მხრივ. საზოგადოება პირდაპირ აღტაცებაში მოიყვანა. არმანს თამაშობდა იუზა ზარდლიშვილი, ისიც პირველად გამოდიოდა ამ როლში და ღირსეული პარტნიორი იყო ნუცასი. პრესაცა და საზოგადოებაც დიდი აღტაცებით შეხვდა ამ წარმოდგენას. საერთოდ უნდა ვსთქვა, რომ ნუცა ჩხეიძისთანა მსახიობი — დრამატიული და ტრაგიკული როლების აღმსრულებელი — ჩვენს სცენას არაპყოლია. ნუცას ნახვა პირველად მომიხდა მოწაფეობის დროს, როცა ლადო მესხიშვილმა ჩამოიყვანა ქუთაისიდან გასტროლებზე ქუთაისის დასთან ერთად. მაშინ ითამაშა პირველად ტფილისში „უბედურ ნაბიჯში“ ვარიას როლი. ეს როლი იყო, რომელმაც ნუცას მოუპოვა ნიჭიერი არტისტის სახელი.

აი რეცენზიაც იმ წარმოდგენისა.

„ცნობის ფურცელი“, 1901 წ. 13 მარტი. თბილისი.

„ხუთშაბათს 20 მარტს ქუთაისის დრამატიულმა დასმა, ბ-ნ ალექსი-მესხიშვილის რეჟისორობით, ნიჭიერ არტისტი ქალის ნ. ჩხეიძის საბენეფისოდ წარმოადგინა შ. დადიანის თარგმნილი დრამა „უბედური ნაბიჯი“. თუმცა შინაარსით დრამა მარტივია, მაგრამ ცალკე უმთავრესი პირის ვარვარა მიხაილოვნას ხასიათი იმდენად რთულია, რომ მისი ცოცხლად, ბუნებრივად გადმოცემა მხოლოდ ნიჭიერ არტისტს შეუძლიან. ქ-ნ ნ. ჩხეიძეს მეტად კარგად მოუვიდა ამ პიესის არჩევა; აქ მან სავსებით გამოიჩინა თავისი ნიჭი და ერთხელ კიდევ დაუმტკიცა საზოგადოებას, თუ რა ძვირფასი განძია იგი ჩვენი ღარიბი სცენისათვის. მეტად საუცხოვოდ, მეტად ხელოვნურად დაასურათა ქ-ნ ჩხეიძემ ვარვარას როლი. ქ-ნ ჩხეიძემ იმდენი ბუნებრივობა და სინამდვილე გამოიჩინა ვარვარას როლის ასრულებაში, რომ შესაძენ მოქმედებაში, სადაც იგი მომავალზედ

ყოველივე იმედ დაწმენდილი ტანისამოს შემოიგლეჯს, ისე გაიტაცა მაყურებელი, რომ რამდენიმე წუთს თეატრის დარბაზში ქვითინი გაისმოდა. დამსწრე საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა“.

ნუცამ სასცენო მოღვაწეობა დაიწყო ქუთაისში კოტე მესხთან და თვითონ კ. მესხმა ჩამოიყვანა თურმე ტფილისში 1895 წლის სეზონში, როდესაც ლადო მესხიშვილი იყო დასის რეჟისორად. როგორც თვითონ ლადოსაგან ვამიგია, თურმე ნუცამ პირველ გამოსვლისთანავე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება, როგორც ახალგაზრდა ნიჭიერმა მსახიობმა. პირველსავე სეზონში თამაშობდა პასუხ-საგებ როლებს. როგორც, მაგალითად, „სამშობლოში“ ფაიხომის როლს. მომყავს პირველი რეცენზია, რომელიც ამ ნიჭიერ მსახიობ ქალწულს დაიწერა:

„ივერია“, 1895 წ. 26 სექტემბერი, „სამშობლო“.

„ფაქიზი, უმანკო და ავადმყოფი ასული სპარსეთის უგულო მპყრობელისა, მშვენიერად დაგვიხატა ნ. ჩხეიძის ასულმა: ნაზი და მშვენიერი სახე, თავ-დაჭერილი მიხვრა-მოხვრა და მომხიბლავი ხმა ახალგაზრდა ქალისა, ყოველივე ესე ამკობდა სპარსეთის ყენის ქალს, და იზიდავდა მაყურებელთა სიმპათიას არტისტ-ქალის მიმართ. უეჭველია ქ-ნი ნინო ჩხეიძის ასული ძვირფას და ახლად გაშლილ ყვავილად უნდა ჩაითვალოს ჩვენი თეატრის თავგულში, რომელიც, მართლა რომ ვთქვათ, გვარიანად შემეკნარია“.

მართალია ნუცამ, თითქმის ბავშვმა, კ. მესხთან დაიწყო თავისი სასცენო მოღვაწეობა ქუთაისში, მაგრამ შემდეგ სულ ლადო მესხიშვილთან მუშაობდა ხოლმე და იგი მართლაც ღირსეული მოწაფეა ლადო მესხიშვილისა. ნუცამ მრავალი როლი შექმნა ქართულ სცენაზე, და მათი შესრულების მხრივ ბაღალი არა ჰყავდა. ნუცას საყვარელ როლებად ითვლებოდა: მარგარიტა (მარგარიტა გოტიე), მაგდა („მამულ-დედული“), ზეინაბი („ლალატი“), კრუჩინინა („უდანაშაულოდ დასჯილი“), მედეა („მედეა“), ვარია („უბედური ნაბიჯი“), ქეთევანი („სამშობლო“), ივლითი („ურთელ აკოსტა“), ივლითი („ივლითი“), ფრაუ ალვინგ („მოჩვენებანი“), დეზდემონა („ოტელო“), ამალია („ყაჩაღები“), ოლოლ („დღენი ჩვენი ცხოვრებისა“) ბეატრისა („ბეატრისა“) და მრავალი სხვა.

რაც ახასიათებდა ნუცას, როგორც მსახიობს, ეს იყო უპირველეს ყოვლისა მისი მოზღვავებული ტემპერამენტი — რითაც მაყურებელს პირველგამოსვლისთანავე იპყრობდა ხოლმე, დაუღალავი შრომა და მომხიბვლელი ხმა!.. ნუცას მშვენიერი დრამატრზმით აღსავსე და მომხიბვლელი ხმა ჰქონდა და დღესაც კი შერჩა ეს მომჯადოებელი ხმა!..

მე არ მახსოვს, რომ ნუცას როლი ოდესმე სახელდახელოდ ვთამაშნოს. ნუცა სანამ როლს კარგად არ მოამზადებდა და არ შეითვისებდა, ისე სცენაზე არ გამოვიდოდა. როგორც ძლიერი და აბობოქრებული იყო, ისეთ ტრალიკულ როლებში, როგორიცაა „მედეა“, „ზეინაბი“, „ივლითი“ (ჯოკემეტისა), ლუდი მაკბეტი, ისევე წარმტაცი და მომხიბვლავი იყო ლირიულ როლებში, მაგალითად: მარგარიტა, დეზდემონა, ოფელია. თუ როგორ აფასებდა ამ შესანიშნავ არტისტს მაშინდელი პრესა, მომყავს ორი რეცენზია.

„ნინო ჩხეიძე ამ დღეს მშვენიერი იყო. მან სავსებით უნაკლულოდ და სიყვარულის ბუნებრივობით განაპიროვნა მშვენიერი, ნარნარი, მრავალ გულთა მიმზიდველი, მარგარიტა გოტიე“.

„სამშობლო“, 16 თებერვალი, 1916 წ. ქუთაისი.

ქართული სცენის მალალ-ნიჭიერ მსახიობთა შორის, საუკეთესო ადგილი უჭირავს ჩვენ ფრიად ნიჭიერ მსახიობ ქალს ქ-ნ ნინო ჩხეიძეს. ნინო ჩხეიძე, მანათობელი ვარსკვლავია ჩვენს ზსასცენო ასპარეზზე. იგი თავის ხელოვნური შემოქმედებით ასპეტაკებს და აფაქიზებს ყოველი ქართველის სულს. მას შემდეგ, რაც ქართულ თეატრს საძირკველი ჩაეყარა, ჩვენი თანამემამულე გ. ერისთავის მეოხებით, მას შემდეგ, რაც სულის სიფაქიზემ ფრთა გაშალა, გროვნიული ხელოვნების გაფურჩქვნის დროს, არა ერთი და ორი დიადი ნიჭით დაჯილდოვებული მსახიობი შეეძინა ჰირნახულ საქართველოს. და ნინო ჩხეიძეც ჩვენი თეატრის ისტორიაში მარად და მარად იბრწყინვალეებს ვით განთიადის სხივმოსილი ცისკარი. დაიდა, ძლიერია იგი, თავის დარგში ხელოვანია. ზეინაბის როლში იგი შეუდარებელია. აქ იგი აღწევს ხელოვნების უმაღლეს მწვერვალამდის“.

* * *

ამ სეზონში რეჟისორებად იყვნენ ტვლისში, როგორც ზევითაც მოვიხსენიე, კოტე მესხი და კოტე შათირიშვილი. ორთავენი დიდის ხალისით მუშაობდნენ. განსაკუთრებით ჩვენი დასის ნიჭიერი არტისტი კოტე შათირიშვილი, რომელმაც პირველად ამ სეზონში დაიწყო ჩვენთან რეჟისორობა და სცენაზე თამაში კი, როგორც მსახიობმა, თითქმის მიატოვა. კოტე შათირიშვილი ერთერთი მუყბითი და ნიჭიერი არტისტი იყო ჩვენი სცენისა და როგორც არტისტმა, დიდხანს იმუშავა ქართულ სცენაზე. მან თითქმის ბავშვმა დაიწყო თურმე სცენაზე თამაშობა ოთხმოცდაათიან წლებში, და როგორც თვითონ იმისგან გამიგონია, დიდი ვაჭირვებაც გამოუვლია ქართულ სცენაზე. შემდეგ იძულებული შექმნილიყო, რომ პროფესიულ მსახიობობაზე ხელი აეღო მატერიალურ ვაჭირვების გამო, და რკინიგზის სამმართველოში შესულიყო სამსახურში და ამავე დროს დასწიაც ემსახურნა. მართლაც, მთელი თავის სიცოცხლის მანძილზე, კოტე შათირიშვილი მსახურობდა და სცენაზედაც მოღვაწეობდა. როცა მე სცენაზე თამაში დავიწყე, კოტე შათირიშვილი უკვე დიდი ხნის ნამსახურები იყო ქართულ სცენაზე და ნიჭიერი არტისტის სახელიც ჰქონდა მოპოვებული. ის ძალიან ფაქიზი და წინდახედული მსახიობი იყო. ამჟღერთ ის იყო კომიკი-„პროსტაკი“. სცენაზე იმაზე უკეთესად ვერავინ ვერ განასახიერებდა სულელებს, ყეყეჩებს და ფატებს. კომედიებისათვის ძალიან ხალისიანი და ნიჭიერი არტისტი იყო. ჩემს დღეში არ დამავიწყდება მის მიერ ნათამაშევი მსუბუქაშვილი („აღლუმი“) ან და ცანცარა („სიძე-სიმამრში“). ეს ორივე პიესა ვ. გუნიას მიერ არის გადმოკეთებული რუსულიდან. საზოგადოდ იმ დროს, ვალერიან გუნია მშვენიერი გადმოკეთებელი იყო პიესებისა, როლებსაც ისე აკეთებდა, რომ ტვილისის დასი ჰყავდა ხოლმე მხედველობაში. ვალერიან გუნიამ იცოდა კოტე შათირიშვილის თვისება, როგორც არტისტისა და მშვენიერ როლებს უკეთებდა ხოლმე. კოტე შათირიშვილიც ვალში არ რჩებოდა ვ. გუნიას და მართლა ნიჭიერად თამაშობდა. ან და ავიღოთ იოთამი („დედის-ერთა“-ში) გომელაური („ცინის საიდუმლოში“), ლაქია-იაკობი

(„ცხოვრების გარშემო“), მილოვზოროვი („უდანაშაულოდ დასჯილში“), ხლესტაკოვი („რევიზორში“), ზაგორცკი („ვაი ჭკუისაგან“), გიორგი („დაძმა“), კოტე ფანტაშვილი („ხანუმაში“). როგორც არტიტი ნიჭიერების გარდა, ძალიან მშრომელი იყო. კოტე შათირიშვილი განთქმული იყო როლის სწავლაში. როლი უოველთვის ზეპირად იცოდა და ამასთანავე როლის ზედმიწევნით დამუშავება იცოდა. უბრალო ვოდვეილში როლს ისე დამუშავებდა და ისე ითამაშებდა, რომ საზოგადოება ალტაცებაში მოჰყავდა. მაგალითად, მახსოვს, რაცა პირველად დაიდგა ვ. გუნიას გადმოკეთებული ვოდვეილი „დედის-ერთა“, კოტე შათირიშვილი თამაშობდა კახელ თავადიშვილს, დეგენერატს, რომელიც იმის მეტს არაფერს აკეთებს, რომ დადის და სოფლის გოგოებს ეარშიყება და ყველას ცოლად შერთვას ჰპირდება. ეს როლი ისე ითამაშა, რომ მთელი საზოგადოება ალტაცებაში მოიყვანა. მშვენვირად თამაშობდნენ ნატო გაბუნია-ცაგარლისა დედას — სოფლის კნენას და კოტე შათირიშვილი შვილს იოთამს — იდიოტს. აგრეთვე კარგად ასრულებდა „რევიზორში“ ხლესტაკოვს, გრიბოედოვის ზაგორცკის. ორთავე კლასიკურ როლს დიდის გემოვნებით და ნიჭიერად ანსახიერებდა. მე მგონია, ქართულ სცენას კოტე შათირიშვილისთანა ხლესტაკოვი არა ჰყოლია. განსაკუთრებით კარგი იყო ევროპულ როლებში და რუსულ კომედიებში. ხანდახან კ. შათირიშვილი დრამატიულ როლებსაც თამაშობდა. მე მინახავს მის მიერ ნათამაშევი კარლ-შლორი შილერის „ყაჩაღებში“, რომელიც თავის საბენეფისოდ დაიდგა. მინახავს „დალატში“ ვრეკლეს როლში, რომელიც პირველ წარმოდგენაში ითამაშა. აგრეთვე „ვანიუშინის შვილები“ („დარღვეულა კერა“) გიმნაზიელი კოწიას როლში, მაგრამ დრამატიულ როლებში სუსტი იყო. დრამატიულ როლებისთვის არც ტემპერამენტი ჰქონდა და არც ხმა უწყობდა ხელს. თამაშობდა განსაკუთრებით ახალგაზრდებს. მოხუცების, ხნიერ სახასიათო როლების თამაში არ შეეძლო. არ მახსოვს, რომ ოდესმე იმას ჭაღარას პარკი დაეხუროს.

სწორედ ამ სეზონში იყო მოწვეული კ. შათირიშვილი პირველად ჩვენს დასში. არავინ გვყავდა, რომ რეჟისორობა ეკისრა. ვალიკო შალიკაშვილი, მთელი სეზონის განმავლობაში მოსკოვში იყო წასული, რათა იქაურ თეატრალურ ხელოვნებას გასცნობოდა და ასე თუ ისე, როგორც ახალგაზრდა რეჟისორს, ცოდნა შეეძინა. სწორედ ამიტომაც იყო, რომ ჩვენმა გამგებამ კ. შათირიშვილს შერჩავა რეჟისორობა. პირველი პიესა, რომელიც კოტე შათირიშვილმა დადგა ჩვენთან, ეს იყო „უდანაშაულოდ დასჯილნი“ ოსტროვსკისა. დიდი სიფრთხილით და შიშით მუშაობდა, ვაი თუ პიესას წარმატება არა ჰქონდესო და შევრცხვეო!.. მაგრამ იმისმა დადგმულმა პიესამ გაიმარჯვა. შემდეგ დადგა „ჩერჩეტი“ ფულდისა. ეს პიესაც პირველად დაიდგა ჩვენს სცენაზე. რომელშიაც მთავარი როლი „ჩერჩეტისა“ მე მათამაშა. მესამე პიესა დადგა სიმბოლიური ხასიათის დრამა გლახაშვილისა (სოფრომ ტურაშვილის) „წყურვილი“.

კ. შათირიშვილმა, როგორც რეჟისორმა, ჩვენს თეატრს მალე გაანება თავი და მიწვეულ იყო „სახალხო სახლში“ სცენისმოყვარეების მიერ. პართალია „სახალხო სახლის“ მომუშავეებს სცენისმოყვარენი ერქვათ, მაგრამ ისინიც ისევე სისტემატურ წარმოდგენებს მართავდნენ, როგორც ჩვენი დასი. მაშინ „სახალხო სახლში“ ფაქტიურად მეორე ქართული თეატრი იყო, მხოლოდ იმ გასხვავებით, რომ იქ პროფესიული მსახიობები არ მუშაობდნენ. ე. ი. ჯამა-

გიორგი არა ჰქონდათ, როგორც ჩვენ. „სახალხო სახლში“ მუშაობდნენ და მოღვაწეობდნენ. ისეთი ცნობილი და ნიჭიერი სცენისმოყვარეები, როგორებიც იყვნენ ნიკო გოცირიძე, სოსო რომანიშვილი, მიშა ჭიაურელი, ილია ზურაბიშვილი, კ. ხახანაშვილი, გ. ჯაბაური, ვ. ნინიძე, ა. მეტრეველი, მ. თუმეღიშვილი (სუფლიორი); ქალები: თ. გოგოლაშვილი, ან. ქიქოძე, ანკარა. ბარათაშვილი და ბევრი კიდევ სხვანი. აი, ამათ მოიწვიეს კ. შათირიშვილი რეჟისორად და უნდა ვთქვა სიმართლე, რომ კ. შათირიშვილი პირველი სერიოზული და მომზადებული რეჟისორი იყო „სახალხო სახლისა“. მისვლისთანავე დიდის სიყვარულით მოჰკიდა საქმეს ხელი და ძალიან კარგ წარმოდგენებსაც სდგამდა. პირველად „სახალხო სახლს“ თეატრალურ მუშაობას სერიოზული სახე კ. შათირიშვილმა მისცა. დიდი მშრომელი და მუყაათი რეჟისორი იყო კ. შათირიშვილი, ის სიკვდილამდის აღარ მოშორებია „სახალხო სახლს“.



სწორედ ამავე სეზონში გადაუხადა ქართველმა საზოგადოებამ 30 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე ჩვენი სცენის დამამშვენებელსა და ნიჭიერ მსახიობს ნატო გაბუნია-ცაგარლისას. იუბილე გაიმართა ჩვენს თეატრში. დავდგით მის პატივსაცემად: „ორი ობოლის“ უკანასკნელი მოქმედება, რომელშიაც იუბილიარი თამაშობდა ფროშარის როლს. „დაქცეული ოჯახი“ (გ. სუბდუჟიანცისა) მეორე მოქმედება, რომელშიაც თამაშობდა ხამფერას და „ხანუმას“ პირველი მოქმედება (ასრულებდა ხანუმას). იუბილიარი სცენაზე შემოიყვანეს მოხუცმა დრამატურგმა გაბრიელ სუნდუკიანცმა და მარიამ საფაროვაბაშიძისამ. იუბილე გაიმართა დილა-სალამოს. დილით მხოლოდ მილოცვები და ზეიმი იყო, ხოლო სალამოს წარმოდგენა. მშვენიერი იუბილე გადაუხადა ქართველმა საზოგადოებამ ნატო გაბუნია-ცაგარლისას. აუარებელი აღრესები, უამრავი დეპეშები და მილოცვები! მართლაც რომ ჩვენი თეატრი საზეიმოდ იყო მორთული. დანსწრო იუბილეს იმდროინდელი მოწინავე საზოგადოება. განა ღირსი არ იყო ეს ქართული სცენის ნიჭიერი მსახიობი ასეთი პატივისცემისა?! ნატო გაბუნია იყო ერთი იმ ბუმბერაზ მსახიობთაგანი, რომელთაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს 1879 წელს მუდმივი ქართული თეატრის საქმეს. მაშინ მთავარი როლის შემსრულებელნი მხოლოდ ორი ქალი ჰყავდათ. ესენი იყვნენ ნატო გაბუნია-ცაგარლისა და მარიამ საფაროვაბაშიძისა.

ნატალია მერაბის ასული გაბუნია-ცაგარლისა დაიბადა ქ. გორში 1859 წელს 3 თებერვალს (ძვ. სტ.), მამა ნატოსი, მერაბ გაბუნია დიამბეგი იყო, დედა — ფალავანდიშვილის ქალი. 12 წლის იყო ვითომდა სასწავლებლად მიუბარებინათ გორში, ერთ რუსის ოჯახისთვის, მაგრამ სამი თვის შემდეგ წასულა ამ ოჯახიდან. ეს იყო მთელი სწავლა-განათლება ნატო გაბუნიასი. ნატო გაბუნიას ქ. გორში ეთამაშნა სცენისმოყვარეების მიერ შემთხვევით გამართულ წარმოდგენაში, რომელსაც დასწრებოდა ჩვენი თეატრის დამაარსებლის, გიორგი ერისთავის შვილი — „სამშობლოს“ ავტორი დავით ერისთავი, რომელმაც დიდი ამაგი დასდო მუდმივ ქართულ თეატრის დაარსებას, და ძალიან მოსწონებოდა ნატო გაბუნია. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ როცა დაიბადა ბზრი მუდმივ დასის დაარსებისა, ნატო გაბუნიაც იქმნა მიწვეული დასში

ისევე, როგორც კახეთში ჭავჭავაძიანთ ოჯახში — კოტე მარჯანიშვილის დედის ოჯახში აკაკის ენაჩა მარიამ საფაროვ- აბაშიძისა და, ვითომდა სასწავლებლად, წამოყვანა ტფილისში, და შემდეგ დასში იქმნა ჩარიცხული. ამ ორმა მსახიობმა ქალმა, ნატო გაბუნია და მარიამ საფაროვმა, დიდი სამსახური გაუწიეს მუდმივ ქართულ თეატრის დაარსების საქმეს, მთელ მის რეპერტუარს ეს ორი მსახიობი ქალი აწარმოებდა. ყოფილა ასეთი შემთხვევა: ერთ-ერთ ხუთშაბათს, დანიშნულია ნატო გაბუნიას ბენეფისი, რომელშიაც ორივენი იღებდნენ მონაწილეობას. წარმოდგენის წინა დღეებში, მარიამ საფაროვ- აბაშიძისა, უცბად ავად გამხდარა. ისე რომ, წარმოდგენაში მონაწილეობას ვე- ღარ მიიღებდა და საბენეფისო წარმოდგენა, უნდა გადაედოთ, მეტი გზა აღარ იყო. იმ დროს საბენეფისო წარმოდგენის გადადება, დიდი უბედურება იყო მსახიობებისთვის. ბენეფისი, ეს ერთად-ერთი შემოსავლის წყარო იყო მათთვის. სწორედ ამ დროს, როდესაც ყველანი შეწუხებულნი არიან და ფიქრობენ, რომ გაჭირვებიდან როგორმე იხსნან თავი, რეპეტიციასზე მოსულიყო ჩვენნი მგოსანი აკაკი, ხედავს, რომ ნატო გაბუნია კუთხეში მიმჯდარა და ღაპ- ღუპით ჩამოსდის ცრემლები. გაიგო საქმის ვითარება და ნატო გაბუნია დაე- მშვიდებინა და ეთქვა: ნატო, ნუ სწუხარ, მე ხვალ დილით მოგიტან ისეთ პიე- სას, რომელშიც მხოლოდ ერთი ქალის როლი იქნებაო. მართლაც იმავე ღამეს პატივცემულ აკაკის დაეწერა პიესა „კინტო“, რომელშიაც მხოლოდ ერთი ქა- ლის როლია, და მეორე დილით მიეტანა თეატრში. სამ დღეში მსახიობებმა პიესა მოამზადეს და ასე გადაარჩინეს ხიფათს ნატო გაბუნიას საბენეფისო წარმოდგენა. ეს პიესა არის სამ მოქმედებიანი ვოდევილი, რომელიც შემდეგ- ში ძალიან ხშირად იდგმებოდა ქართულ სცენაზე. ნატო გაბუნია იყო სახა- სიათო როლების აღმსრულებელი მსახიობი, — კომიკურის განხრით და მუდ- მივი პარტიოზი ვასო აბაშიძისა. იშვიათი იყო ისეთი პიესა, რომელშიაც ნა- ტოს ვასო აბაშიძის მეუღლე არ ეთამაშნა. „ორი ჯიბგირი“, „ფული და ხა- რისხი“, „გაცრუებული იმედები“, „მელანიას ოინები“. რა ბუნებრივი არტის- ტი იყო ნატო გაბუნია! არავითარი ძალდატანება, არავითარი გადამლაშება კომიკურ ადგილებში. მე ბევრ როლში მახსოვს ის, მაგრამ არ დამავიწყდება მისი ნათამაშევი ფრომარი „ორ ობოლში“ („დები ყერარ“) და ზეფირინა „ორ ჯიბგირში“. ორივე ეს პიესა ფრანგული მელოდარზეა. პირველ პიესაში თა- მაშობდა მოხუც მათხოვარ დედაკაცს — ხოლო მეორეში ქურდების მეთაუ- რის ცოლს — თითონაც ქურდს. რა მშვენიერად თამაშობდა! ყოველი მისი ნათქვამი წინადადება დამაჯერებელი და ბუნებრივი იყო. ან რა ინტონაცია ჰქონდა! „ორ ჯიბგირში“ დათრობის სცენაში პირდაპირ სასწაულს ახდენდა მაყურებელზე!.. მერე ვინ ასწავლიდა, ვინ უსწორებდა რამეს?! არავინ! რეჟი- სორები, მხოლოდ მიზანსცენებს უნიშნავდნენ, მეტს არაფერს. რასაც სცენაზე ჰქმნიდა, ეს მხოლოდ თვითონ, თავისი შნოთი და უნარით. ან და ავილოთ მისივე ქმრის ავ. ცაგარლის პიესა „ხანუმა“, რა დიდებულ ფიგურას ჰქმნიდა აქ. ვერავითარ შემთხვევაში ვერ იფიქრებდით, რომ ეს არტისტია და როლს- თამაშობსო!.. ისე ბუნებრივი იყო მისი თამაში!.. ნატო გაბუნია იყო ჩემის აზ- რით ინტუიციის ალღოს მსახიობი, და დარწმუნებული ვარ, ისე შეჰქმნა ნატო გაბუნიათ აუარებელი ტიპები, რომ როლის კითხვის დროს, ერთხელაც არ სჭე- რია ფანქარი ხელში, რომ როლში რაიმე შენიშვნა — ან როლის რომელიმე ესა- თუ ის ადგილი აღენიშნოს. იმისი მუშაობა როლზე მხოლოდ იმაში გამოიხა-

ტებოდა, რომ ტექსტს სწავლობდა — მეტი არაფერი. რა ხანაც მე მომიხდა ამ პატივცემულ მსახიობთან მუშაობა, არასოდეს არ მახსოვს, რომ როლში მიზან-სცენები აღენიშნოს. მაგრამ მიუხედავად ამისა, არასდროს არც როლი შეგეშ-ლებოდა და არც მიზან-სცენებს აურევდა. თამაშით ხომ, რომელ როლსაც ხელს მოჰკიდებდა, ბრწყინვალედ ანსახიერებდა. ეს არტისტიკი არ იყო, თვით ბუნება იყო სცენაზე. სცენაზე რომ გამოვიდოდა პარტნიორებში და საზოგადოებაში ალტაცებას იწვევდა. ამბობდნენ: არტისტს განათლება და ცოდნა თუ არა აქვს, ისე ვერაფერს შეჰქმნისო! რასაკვირველია, განათლება და განვითარება დიდი რამეა არტისტისთვის, მაგრამ ჩემის აზრით მთავარი ნიჭია, ნიჭი თუ არა გაქვს, განათლებით შორს ვერ წახვალ, ამის დამამტკიცებელი იყო ნატო გაბუნია-ცაგარლისა. მართლა რომ შედეგები შეჰქმნა ნატო გაბუნია მ ქართულ სცენაზე. მაგალითისთვის ავიღოთ მის მიერ შექმნილი ხანუმა („ხანუმა“), ფროშარი („ორი ობოლი“), ზეფირინა („ორი ჯიბგირი“), ხამფერა („დაქცეული ოჯახი“), სოფიო („ფული და ხარისხი“), ნატალია („გაცრუებუ-ლი იმედები“), მელანო („მელანიას ოინები“), ელისაბედ („ჯერ დაიხოცნენ მერე დაქორწილდნენ“), ბაბაღე („მეორედ გაყმაწვილება“). ნატო გაბუნია მა-ღალ ნიჭიერი არტისტი იყო, მაგრამ მხოლოდ კომედიებისთვის. დრამა, ტრა-ღედია, იმისი საქმე არ იყო. და არც ათამაშებდნენ ხოლმე. ამასთანავე ჰქონდა მშვენიერი ხმა და ძალიან ხშირად დივერტისმენტში გამოდიოდა და დუდუკზე ან თარზე ასრულებდა ქართულ ბაიათებს. მომხიბლავად მღეროდა და საზო-გადოებასაც ძალიან მოსწონდა. ამასთანავე ნატო გაბუნია ძალიან კარგი ამ-ზანაჟიც იყო; და ამიტომაც ყველას გულწრფელად უყვარდა. თვითონაც ყო-ველთვის მხიარული და ენამახვილი ქალი იყო. ყოველთვის დაუზარებელი და ბავშვივით ხალისიანი. ჩვენს მსახიობებში ისე არავინ არ ეხმარებოდა სახალ-ხო თეატრის საქმეს, როგორც ნატო გაბუნია. როცა ჯერ „ავჭალის აუდიტო-რიაში“ შემდეგ-კი „სახალხო სახლში“ მიიწვევდნენ, არასდროს უარს არ აზ-ბობდა და არც გასამრჯელოს იღებდა. გულწრფელად უყვარდა ხალხი და გულწრფელადვე ემსახურებოდა სახალხო თეატრების საქმეს. იუბილეს შემ-დეგ დიდხანს აღარ იცოცხლა ნატომ. სწორედ საქველმოქმედო მიზნით გამარ-თულ წარმოდგენაზე გაცივდა სოფ. ქარელში, სადაც „ხანუმაში“ თამაშობდა. საჩქაროდ ჩამოიყვანეს ტფილისში, მაგრამ ვერაფერი უშველეს. გარდაიცვალა 16 აგვისტოს 1910 წ.

„ღაპრით სასუნს“

ღაპრითის ბრძოლა მხნარკეთა წინააღმდეგ.

შორით აღწევდა ხმა მისირამდე,
მივიდნენ, უთხრეს მისრეთის მთავარს:
— მელიქ, რას ჰფიქრობ, რას იმოქმედებ?
დავითი არბევს ჯარსა და მთაბარს.

მისრა-მელიქმა მეჯლისი იხმო
და გონიერი ხალხი შეჰყარა;
ბჭობას ისმენდა, სურდა დავითის
სახსენებელი ამოეთხარა.

მაშინ წამოდგა ფეხზე კოზბადინ —
როგორც დევკაცი და სისხლის მდომი:
— სცოცხლობდე, მეფევე, შენ არ შეგფერის
ურჯულოებთან პირისპირ ომი!..

ბრძანე, ათასი დევკაცი მომცენ
და შენს გულისთქმას მე ავასრულებ, —
წავალ, მეფეო — და საუკუნოდ
სასუნთა ქალაქს ვავენადგურებ.„

ორმოც ტანმაღალ დიაცს მოგართმევ
და აქლემები, უბრძანე, ტვირთონ, —
ორმოც ტანდაბალ ქალს დაავალე,
თითო წისქვილი აბრუნოს თითომ!

მხევლად ორმოცი ქალწული მრვა,
განათდი მათი თვალების ცეცხლით!
ორმოცი ბულა, ორმოცი ფური
ორმოც ხურჯინით ოქრო და ვერცხლი....

წავალ, დავარბევ სასუნთა ქალაქს,
რომ ბედისწერა იხილონ ავი! —
რომ შენ მოგართვა ავლადიდება
და მოკვეთილი დავითის თავი...

შელიქმა უთხრა: — გაძლევ უფლებას,
რომ დასცე მტერი და ააოხრო, —
აიღო მათგან შვიდი წლის სარჩო
და შვიდჯერ მეტი ვერცხლი და ოქრო!

ორმოც ტანმალალ დიაცს მომართმევ —
რომ აქლემები ადვილად ტვირთონ,
ორმოც ტანდაბალ ქალს დაავალე
თითო წისქვილი აბრუნოს თითომ!

და ორმოც ქალწულს მხეველად მომგვრი.
რომ დავიამო გულისთქმა ავი, —
მაგრამ წუხილის განსაქარვებლად
შსურს მოკვეთილი დავითის თავი.

*

* *

ბადინ, კოზბადინ, სუდინ. ჩარხადინ
და უთვალავი მელიქის ჯარი
დაიძრა მტერზე ამხედრებული,
გაიღო ქალაქ მისირის კარი...

მათ მისძახოდა სიმღერით ხალხი:
ბადინ, ჩარხადინ, საითკენ გარბით? —
სუდინ, კოზბადინ, — რას ნიშნავს თქვენნი
მღევარი, სუნთქვა და მზერა ხარბი? —

და კოზბადინიც უბასუხებდა:
დაიშალენით, ჩაჰკეტეთ კარი —
მალე თქვენამდევ მოაღწევს ალბათ
სასუნთა კენესა და სისხლის ღვარი...

სასუნთა ქალაქს დავარბევთ, დავწვავთ,
გამოვიტაცებთ ჯიშინ ხარებს,
გამარჯვებულნი მოვრეკავთ ნახირს,
საზრდო გვექნება და გავიხარებთ...

მაგრამ გზადაგზა გულშემზარავად
სიკვდილს უქადდა მათ ერთი ქალი:
— ვიცნობ სასუნელთ! — ამბობდა იგი, —
ოხრად დაგრჩებად მიწა და წყალი!..

შორით მოჰყვება კოზბადინს ჯარი
და გულისწყრომა დაუფარავი.
შორით, სასუნთა ქალაქის ახლო
დასდგა საომარ ველზე კარავი.

აურჩევია ორმოცი კაცი,
გულად ღონიერს, ტანად ახოვანს, —
და მეხარკენი ორმოც აქლემით
გამოეცხადნენ კარებზე ოვანს!

უთხრეს: — მელიქმა აქ მოგვავლინა,
ვართ მის მაგიერ ხარკის მდებელი, —
გიბრძანებს ეხლავ გადაგვიხადო
შვიდი წლის სარჩო-საბადებელი!..

ოვანი შეკრთა. ყველაზე უფრო
შას ეშინია დავითთან შეხლა
და მოიგონა უცებ სიმშლილი,
სთხოვს სანადიროდ წავიდეს ეხლავ, —

მოჰკლას ქურციკი კლდეებში სადმე,
ან ჯეირანი, ანუ ირემი...
დავითიც მიდის... და ველარ ხედავს,
როგორ იხდიან ხარკს მორჩილები.

რა იცის გმირმა, სამშობლო ქალაქს
სიმშვიდის ნაცვლად ქარცეცხლი ერგო —
შემოესია მისირელთ ჯარი
და ეუბნება ოვანი ვერგოს:

— იარე, ძმაო, და შეაგროვე
მესირელთათვის შვიდი წლის ხარკი,
დე, მიითვალონ ვერცხლი და ოქრო
და გოგონები ოქროზე კარგი!..

დაძრწის ვერგო და სასუნთა ქალაქს
დაუფლებია ძრწოლა ახალი:
მონად ორმოცი ქალი შეიპყრო
ორმოცი მათზე მაღალ-მაღალი!

მოსძებნის ორმოც ქალწულს ქალაქში
და მათთან ერთად გომურში ჰკეტავს...
ერთს თმაგაშლილი, ბნელ კარებამდე
კვილით მისდევს მოხუცი დედა!

მორეკა მათთან მთელი ნახირი,
უნდა მელიქმა არ იზარალოს! —
და კოზბადინის დამქაშებს უმალ
მეგობარივით უხსნის სალაროს.

მისირელები განცხრომით სხედან,
ვერაგი ვერგო მიუთვლის ოქროს,
მორჩილად ავსებს პირამდე ხვირჯინს
და ვერც კი ბედავს ამოიოხროს! —

ამ დროს დავითი დადის კლდეებში,
წამოუვია ქურციკი შუბზე, —
უახლოვდება ქალაქს ნადავლით
და უდარდელი თვალებით უმზერს...

აიღებს ხელში დაქანგულ დანას,
სადღაც დედაბრის ეზოში გდებულს,
ამოთბრის მოლოქს და შეექცევა,
შეუმოკლდება გზა დაფიქრებულს.

შევა ქალაქში... და რაღას ხედავს!?
აქ უწინ, ყოველ დაბრუნებისას,
ხვდებოდნენ მღერით და გაისმოდა
ხმა მხიარული საუბრებისა!

დღეს კი ვერ ცნობენ უკვე ერთმანეთს
ხმლით გათიშული დედა და შვილი, —
ქალაქის ნაცვლად ფერფლია მხოლოდ
და შენობები კედლებდაშლილი...

დგას შუა გზაზე მოხუცი დედა,
ხმა აღმოხდება მიწამდე დახრილს:
და გაიგონებს ცა და ქვეყანა
იმის ვაებას და იმის ძახილს:

— „ჰიი, რბეულო სასუნთ ქალაქო,
საშვილიშვილოდ დარჩი ნგრეული! —
მისრეთში მიჰყავთ ჩემი ქალთამზე
მელიქისათვის ამორჩეული...“

— ჰოი, სადა ხარ, წყეულო დავით,
გერგოს ღვთის რისხვა ციხე მოჭლენილი,
ველზე მენახოს შენი მერანი
და უნაგარი ობლად შთენილი...

ისმენს დავითი საოცარ კრულვას,
ჰფიქრობს: რა მოხდა ისეთი ნეტავ? —
და ეკითხება გულამომჯდარი:
— რა დაგიშავე, მოხუცო დედავ?

— ერთგულად ვზარდე ქალები ჩვენი,
არ დასჩენიათ მზე აღმოსავლის,
და ვერგო შენი ვერაგი ბიძა
ეხლა მელიქის მონებად გზავნის!

შეხედე მაინც, — ამბობს დიაცი,
რას სჩადის ჯარი კოზბადინისა, —
ხარკად მიიღო ჩვენი დოვლათი,
თითქოს მონები ვიყოთ იმისა!

— ჰოი, მოხუცო, გემუდარები,
მითხარი მხოლოდ, ვინ არის იგი!
— მისრა მელიქის მოგზავნილია —
მცხოვრები ცხრა მთა-მინდორის იქით...

მონად მიიღო ორმოცი ქალი,
ორჯერ ორმოცი ქალწული ცოლად,
ორმოც აქლემის დასატვირთავი
ოქრო და ვერცხლიც მან მიიწონა!

ეხლა კი რისხვად იქცა დავითი —
დედაბერს მკლავში ჩასჭიდა ხელი, —
— იარე, დედავ, და მიმასწავლე
სად იმყოფება ეგ სისხლისმღვრელი!

მიადგნენ ორნივ დაკეტილ გომურს,
კვენესოდა ერთად ასოცი ქალი, —
დავითი მკერდით მიასკდა ურდულს
და შეამტვრია უეცრივ კარი...

შესძახა: — დაო, განთავისუფლებ,
და შენც, დედაო, დაღუპულ გმირთა! —
ერთი საბრალო თავი მაქვს მხარზე
და თქვენს მაგიერ ვავსწირო მინდა...

დადის დავითი აჯანყებული.
მუხლით შელენა ისევ კარები, —
და გამოცვივდნენ ველზე ბლავილით
ბნელს დამწყვედეული ბულა ხარები!..

დადის დავითი. მოხუცი ქალიც
შეჰყურებს თვალში, მუდარის მთქმელი:
— გზას შივასწავლი კოზბადინისას,
შაგამ მე კი არ ჩამქიდოს ხელი! —

მიმართე შარტომ, აი, იქ არის! —
და მიუთითა აკანკალებით...
შორით მოსჩანდა იავარქმნილი
ციხე-დარბაზის ღია კარები.

შივიდა. კართან ხედავს დავითი:
ორმოცი კაცი კოზბადინისა
ხმლებამოწვდილნი ორორად დგანან.
შედგა. სალამი უთხრა დილისა.

ჰკითხა, უთუოდ გეცოდინებათ,
ჩემი ბიძები: ოვანი, ვერგო, —
დასახმარებლად მოვიჩქაროდი,
რას აკეთებდნენ — მსურდა გამეგო.

ჯარისკაცებმა გადინხარხარეს
და უპასუხეს დაცინვით მარტო:
— რისი მაქნისი იყვნენ ისინი,
რომ ეხლა კადევ შენ მიემატო!

მაშინ გაჯავრდა დავითი მართლაც,
შუბი ძირს დასდო, არ მოიშველა,
და სათითაოდ ორმოცი თავი
ფრინველებივით წასწყვიტა ყველას.

მერე გაიღო მხარზე ხელახლა
ქურციკი შუბზე წამოგებული,
შევიდა შინ და ნახა ტახტებზე
წამომჯდარიყო მძარცველთ კრებულნი.

ერთ მხარეს იჯდა მძიმედ ბადინი
და კოზბადინი მეორე მხარეს! —
მესამე მხრით კი ხარბი სუდინი,
და ჩარხადინი მეოთხე მხარეს.

ნახა, რომ სცლიდა სალაროს ვერგო,
ჯართოდ გაეხსნა ხურჯინი ოვანს,
დასჩერებოდა დაჩოქებული
მიწაზე ოქროს და ვერცხლის გროვას.

ვერგოს ეკავა ოქროთი სავსე
ხელთ საწყაული აღუვსებელი,
და სიმწრის ოფლში იწურებოდა
მისირელთათვის ბიძა ბებერი...

მოსჩანდა სახე კოზბადინისა,
დაეღო ხარბად სველი ლაშები —
და თავმომწონედ იღიმებოდა
მახვილად აწვდილ წვრილ უღვაშებით!

ბიძა, როდესაც „ორს“ გაღითვლიდა,
ის მხოლოდ მაშინ იტყოდა: „ერთი“
სისხლით აევსო თვალები დავითს
და გულის ძგერით შეიძრა მკერდი! —

ბიძას დაეცა მეხივით თავზე,
განრისხებულმა შესძახა: — კმარა!
მოულოდნელად საბრალო ვერგო
ისე შეშინდა, რომ... ჩაისვარა...

ძლივს ამოითქვა სული კანკალით
— ო, სასიკვდილევ, იყავი კრული! —
მე მამაშენმა შემაკრთო ერთხელ,
მეორედ ეხლა გამისკდა გული.

— იმაღლებენ ხმას მეხარკენიც:
— კმარა, უჩვენე ამ ბიჭს კარები!
დავითი შაინც თავისას ამბობს:
— არა, უიუოდ მოგეხმარებით...

და ბოლოს იგდო ხელთ საწყაული
ბიძას უბრძანა: ოქრო ჩავეყარო! —
შოაპირქვევა ძირს ხურჯინები —
თქვა, მეხარკენი რად გავახაროთ!?

მაშინ კოზბადინს აემღვრა გული:
— ჰეი, მომცილდი აქედან, ბავშვო,
თორემ წავაწყვეტ თავს... აქ რა ნახე
ან გასართობი, ან სათამაშო...

მისირელთ იქნებ დაგვცინის ვინმე,
ხარკის გადახდას იქნებ უარობს! —
წავალ და მერე მისრა-მელიქმა
ქალაქს ქარცეცხლით ვადმოუაროს...

შაგრამ კოზბადინს ხედება დავითი:
— დიღო მარუთავ, გესმას პასუხი! —
თავი კედელზე მსურს მიფუჭედო,
რომ ვერ მოაძროს ორმოც მარწუხით!..

თქვა და ესროლა თან საწყაული,
ღროზე დახარა მტარვალმა თავი, —
თუ არა ქვეყნად კოზბადინისა,
არ დარჩებოდა სულისთქმა ავი..

სირბილიც ნახეს კოზბადინისა,
შაგრამ დავითმა შეიპყრა მფრთხალი, —
ება ამოთხარა კბილებიანად
და შუბლის ძვალში ჩაუსვა ძალით!

მერე უკუღმა დააკრა ცხენზე
და დააბარა სალაში ფრთხილი:
— წადი, შენს მეფეს გააგებინე
მე ვარ დავითი, მიჰერის შვილი!

ქალებს ვერაფერს მოგვეტაცებს ძალით, —
ძალით ვერაფერს ჩააქრობს კერას! —
და ხარკსაც ველარ მიიღებს ჩვენგან,
უთხარო სცადოს თუ არა სჯერა!

შადინ, კოზბადინ, სუდინ, ჩარხადინ
მიისწრაფიან, დასტოვეს ჯარი...
შაგრამ ხმა უკვე დამარცხებისა
მისრა-მელიქის კარებთან არი.

შთარგმნელი ქარლო კალაძე.

ს რ ი ბ ი ა ა

შალვა აფხაიძე

ლ ე ლ ო

ალ. ჭეიშვილის რომანი

მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ ქართულმა პროზამ უკანასკნელ წლებში. უკვე ცნობილ და აღიარებულ სახელებს ახალი და საიმედო სახელები მიემატა. თან მოიტანეს ცოცხალი გრძობა, ცხოვრების საკმაო ცოდნა, მახვილი მხატვრული თვალი, ფხიზელი სმენა და განცდის სიღრმე. ერთ-ერთ ასეთ ავტორთაგანს ეკუთვნის ალ. ჭეიშვილი. ყურადღება მისაქცევია მსგარემოება, რომ „ლელი“ ალ. ჭეიშვილის პირველი, სადებიუტო მხატვრული ნაწარმოებია. საყურადღებოა ისიც, რომ ალ. ჭეიშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა არა პატარა მოთხრობით, არამედ საკმაოდ დიდი რომანით. მიუდგომლად უნდა ითქვას, რომ ალ. ჭეიშვილმა თავის პირველ ნაწარმოებში მხატვრის საკმაო ინტელიცია გამოაჩინა და ერთბაშად მიიპყრო მკითხველი საბჭოთა საზოგადოებრივობის ყურადღება.

რომანი აგებულია საკოლმეურნეო ცხოვრების მდიდარ ფონზე. იგი ასახავს საკოლმეურნეო მოძრაობის გაფურჩქვნას, მისი დღითიდღე აღმავლობას, კოლმეურნეობაში დამყარებული შრომის ახალ ფორმებსა და უკანასკნელის საფუძველზე წარმოშობილ ახალ ურთიერთობას ადამიანთა შორის.

სათუთ ინტიმურ ქარგასთან მოხდენილად დაკავშირებული საზოგადოებრივი ცხოვრების გაცხოველებული მაჯისცემა, აღორძინებული სოფლის მრავალფეროვანი ყოფა, მთელი გარდაქმნილი სოფლის ცოცხალი სახე, ცალკე მოქმედი პერსონაჟები, რომლებიც ამ ახალ ცხოვრებასა და ურთიერთობას ქმნიან.

საინტერესოა რომანის თემა. ეს არის გურიის ახალი სოფელი, სადაც მეურნეობის ახალი ფორმა — კოლექტიური — სახესებით გამარჯვებულია და სოციალისტური შეჯიბრების მეთოდებით ეს ფორმა შემდგომ სრულყოფისაკენ მიისწრაფის. ეს არის გურიის ახალი სოფელი, რომლის მეურნეობაშიც გაბატონებული ადგილი უკავია ახალ კულტურებს, ვაცილებით უფრო შემოსავლიანს და შრომატევადიანს, როგორც არის ჩაი და ციტრუსოვანი. რაც მთავარია, ესენი არიან გურიის ახალი ადამიანები, რომლებიც საზოგადოებრივი ფორმაციის ახალ ნიადაგზე გადასვლითა და შრომის შესატყვისი ფორმების გამოყენებით ქმნიან შეძლებულ ცხოვრებას. მათთვის სოციალისტური შეჯი-

ბრება წარმოადგენს საპატრო მიზანს, ვინაიდან იგი „შრომას სათავედ და
შიმშიმ ტვირთისაგან, როგორც ვას სთვლიდნენ წინათ, ხდის ღირსების საქ-
მედ, დიდების საქმედ, სიამაყის და გმირობის საქმედ“ (ს ტ ა ლ ი ნ ი).

ჩვენი საზოგადოებრივობა მხატვრული ლიტერატურით კარგად იცნობს-
გურიას — ჩვენი ქვეყნის ამ მშვენიერ მხარეს. იცნობს. ეგნატე ნინოშვილის
მოთხრობებით. ეს არის გურია დაბეჩვებული, გაღატაკებული გლეხობის, გუ-
რია გოგია უიშვილების, მოსე მწერლების, ტარიელ მკლავაძეების. 1905 წლის
წინა და რევოლუციური გურია ასახულია პანტელეიმონ ჩხიკვაძის მხატვრულ
წარმოებებში. ახალი, საკოლმეურნეო რელსებზე გადასული გურია მოცე-
მელია რომან „ლელოში“.

„ლელოს“ მთავარი გმირია ერთი მხრით ახალგაზრდათა კოლექტივი-
რომელიც რომანის მამოძრავებელ ძალას, მის იდეურ ხერხემალს წარმოად-
გენს.

რომანის მთავარი პერსონაჟების განლაგების არქიტექტონიკა ასეთ ხაზე-
ბში წარმოგვიდგება: ახალი სოფლის ერთ პოლუსზე დგას სიპიტო ქილიფთა-
ჩი, მისი მეუღლე პუპულა, შვილი ბონდო და მათი ავან-ჩავენები, როგორც-
და ჩალვადარი ელიზბარი, მოლაყბე ყაისარა, და კოსტა (ციცინოს ძმა), რო-
მელიც რომანში არსად არ სჩანს, მაგრამ თავის ზეგავლენას მაინც ახდენს.
მეორე პოლუსზე არიან რომანის დანარჩენი პერსონაჟები და სახელობრი-
სეფე, მისი მეუღლე ალვასი და ქალიშვილი ციციხო. ფარნა, მისი მეუღლე
ესმა და ვაგიშვილი ქიშვარდი. ამ რიგად მოქმედება რომანში, თუ მხედვე-
ლობაში არ მივიღებთ მთავარ აქტიურ ძალას, როგორცაა კოლექტივი —
სალოვანას, (კომკავშირის მდივანი) მაქსიმეს (საბჭოს თავჯდომარე) და მათ
გარშემო შემოკრებილ ახალგაზრდობას, ვითარდება აგრეთვე პარალელებით:
სიპიტო, ფარნა, სეფე, სამი წარმომადგენელი სხვადასხვა ფენებისა. პუპულა,
ალვასი და ესმა, და დასასრულ ციციხო, ბონდო და ქიშვარდი. როგორც საი-
ნტერესოდაა მოფიქრებული, რომანის მეორე მამოძრავებელი, მისი სუყეტის
გამშლელი ძალა — ეს არის ქიშვარდის, ციციხოსა და ბონდოს ურთიერთდა-
მოკიდებულება. ქიშვარდისა და ციციხოს გაუმხელებელი ტრფობა და ამ ტრფო-
ბას შემაკავებელი, შემათერებელი ძალა, — ბონდო, რომელიც რომანის გაშ-
ლის ერთ-ერთ დაშმარე ბიძგს წარმოადგენს.

საპატო, ძველი გურული სოფლის ერთერთი ტიპური წარმომადგენე-
ლია, რომელმაც სიღარიბეში აიღვა ფენი, მაგრამ შემდეგში შესძლო დასხლ-
ტვინოდა ამ სიღარიბეს კლანჭებიდან, მევახშეობითა და გაიძვერობით შეძლე-
ბულთა წრეში მოხვედრილიყო, წამოეკიმა მშვენიერი გურული ოდა, შეეძინა
ადგილ-მამული და სოფელში ჩარჩობისთვის მიეყო ხელი. მისი შესაფერია მე-
უღლე პუპულა და შვილი, უქნარი და გადაგვარებული ბონდო. სიპიტო, ეს
ყველა ნაკურების დაგვიანებული რაინდი, ყოველ ღონისძიებას ხმარობს იმი-
სთვის, რომ კარშიდამოს სახით მაინც გადაარჩინოს „თავისი“ მამულებიდან
რამე, და ცდილობს თავის შვილს ბონდოს მიუსაკუთროს ერთერთი საუკე-
თესი მამული. იგი მთელი არსებით იბრძვის საკუთრების შენარჩუნებისთვის,
ცდილობს პატრონანი მშრომელის ფარმას, მოსყიდვას და სხვ. მაგრამ მიზანს
ვერ აღწევს. სიპიტო და მისი გარემოცვა ცდილობს ფარულად, რაიმე ზიანი
მოაყენოს კოლმეურნეობას, თუმცა მასთან კვშირის სრულიად გაწყვეტას ვერ
ბედავს. ერთი სიტყვით, ეს სამება ძველი სოფლის ერთი ფენის, ყოფილ შე-

ძლებულთა, კულაკური ფენის გარდმონაშთია. ისინი ავტორს ცოცხალი, და მახასიათებელი ფერები თყავს დახატული. რომანის შემდგომი ნაწილი მათი მომავლის გამხსნელიც იქნება. სიპიტო, ჰუპულა, ბონდო ნაცნობი ტიპები არიან. ავტორს შესწავლილი აქვს ამ ხალხის ყოფა, ფსიქოლოგია, იცნობს მათს ინტელექტუალურ ავლადიდებას, მათს ენას და ახერხებს შექმნას საკმაოდ მხატვრული სახეები.

ასევე ცოცხლად, ხელშახებადაა წარმოდგენილი რომანში სოფლის მეორე ფენის — სეფეს, ალვასისა და ციცინოს გამართული სახეები. ციცინოს დედა ალვასი, რომელიც ვერ გათავისუფლებულა ჰუპულას ზეგავლენიდან და ხანდახან მის მაჩანჩალობასაც არ თაკილობს, მოხდენილი ფერებით აქვს დახატული ავტორს.

კიდევ მეტის ინტენსივობითა და შინაგანი სითბოთია მოხაზული სოფლის უღატაკესი ფენის წარმომადგენელთა, ფარნას, ესმასა და ქიშვარდის მიმზიდველი სახეები, ესენი არიან კოლმეურნეობის ნამდვილი დასაყრდენი ძალა, მისი ნამდვილი საფუძველი. ყოველი მათგანი მკითხველისთვის, ახლობელსა.

ავტორი გრძნობს, უშუალოდ განიცდის მის მიერ დანახულ სახეებს და მათ კარგ პორტრეტებს ქმნის. სხვა ცოცხალ მომქმედ პერსონაჟებზე რომ არაფერი ვთქვათ, არ შეიძლება არ შევჩერდეთ იმ შესანიშნავ სახეებზე რომანში, რაც ავტორის დაკვირვების და აღებულ ადამიანურ მასალის მშვენიერ ცოდნას ამჟღავნებს. ესენი არიან უქნარა, ცბიერი, ორ სკამზე მჯდომი ყაისარა და გურული ჭკუამახვილობის, სიმკვირცხლის გამომსახველი სკაჩია, რომელსაც ენა სამართებელივით უჭრის, ამ ორი ტიპის დაპირისპირებით, მათი ცოცხალი დიალოგებით, მათი გონებრივი ფარეკაობით ავტორს კიდევ უფრო მეტ იდეურ სიმაღლეზე აპყავს რომანი. ავტორი ნახულობს ცოცხალ სიტყვებს, რომლებიც კარგად ახასიათებენ აღებულ ტიპებს. საკმარისია მოვიყვანოთ თვით ყარსარას ერთი რეპლიკა, რომ იგი ნათლად წარმოგვიდგეს მთელი თავისი ბუნებით. თითქმის მთელი სოფელი სამუშაოდაა გასული, სიპიტოს მამულის ერთ-ერთი ნაჭერი უნდა გასწმინდონ ხერგებიდან და ჩაის გასაშენებლად მოამზადონ. მათ შორის არის ყაისარაც, რომელიც ნამდვილად არაფრის, გამკეთებელი არაა, ორი ბარი მიწა გადაუბრუნებია და:

— მოდი, სეფე, დეითქვი სული, დავისვენოთ პატარა, ქიშვარდის და სილოვანას თუ აპყევი, ცოცხალი, ვერ ააწევ ამელამ შინ. მაგენი დღეში ერთ ქცევა ღომს გამარგლავენ, — სთქვა ყაისარამ. ქამარში გარჭობილი ჭინჭის ქისა, ამოიღო, — უი, დედა, წელიო, — დაიკენესა და ნაპირზე ჩამოჯდა. — მოდი, ფარნა, შენც, თუთუნი მოსწიე, რა გეჩქარება, ხვალაც ამ თვისაა. ამ ძირნალში ნახევარ ნორმასაც ვერ გააკეთებს კაცი. რა გადაბარავს მას. შე ხომ ვამბობდი, ამ ძირნალას ტრაქტორიც ვერ გადააბრუნებს მეთქი...“

აქ მკითხველი თვალნათლივ ხედავს ყაისარს, არა მხოლოდ მის ფიზიკურ სახეს, არამედ მთელ მის შინაგან სამყაროს, ეშმაკს, ცბიერს, რომელიც მხოლოდ იმას ცდილობს, რომ ლაყბობითა და ხუმრობით გააცდინოს მომუშავე კოლმეურნეები. ასეთი ცოცხალი ფერებით არის ამტყვევებული სკაჩია, მხოლოდ სხვა პოზიციებიდან.

დანიელა ბრივადირი, ქიონია, კალენიკა, ელისაბედი. — ყველანი ესენი ნაცნობი სახეები არიან.

შეგრამ რომანის ბირთვის, მის წამყვან ძალას, რა თქმა უნდა, ახალგაზრდობა წარმოადგენს. ესენი არიან სილოვანა (კომკავშირის მდივანი), მამია, ციციხო, ჟონა, ქიშვარდი და სხვ. ისინი არიან რომანის ნამდვილი სისხლი და ზორცი, რამდენადაც მათშია გახსნილი უმთავრესად ახალი სოფლის დინამიკური სახე, რამდენადაც ავტორის იდეური მიმართება ჩაზვასმით მათი მეშველობითაა მოცემული. ისინი წარმოადგენს შრომის ახალი შინაარსის მიერ შექმნილ ინდივიდუალურ ერთეულებს. რომანის ყველაზე უფრო მეტი დადებითი მხარე ისაა, რომ იგი სოფლის ახალ ყოფის ასახვასთან ერთად მართლაც ცხოველი საღებავებით აცოცხლებს შრომის ისეთ ფორმებს, როგორიც არის შაბათობა და შემდეგ სოციალისტური შეჯიბრება.

საუცხოოდაა მოცემული ჟონას და ციციხის შეჯიბრება ჩაის კრეფაში. იგი ნამდვილი მხატვრული შინაგანი გრძნობითაა გაცოცხლებული.

სოციალისტური შეჯიბრების არსის მხატვრულ ილუსტრაციას წარმოადგენს მთელი ის შემტკიცებული კოლექტივი, რომელიც რომანშია მოცემული. ციციხო, ჟონა, ქიშვარდი, დანიელა, სილოვანა და სხვ. ძველი თაობის წარმომადგენლებთან ერთად შეჯიბრების საშუალებით იჩენენ თავიანთ ნიჭს, ფურჩქნიან მას, დგებიან შეძლებული, ადამიანური ცხოვრების მტკიცე ნიადაგზე.

თუ რომანის პირველ თავებში სიპიტო და პუპულა ეჩხირება მკითხველს წამდაუწუმ თვალში, შემდეგში ისინი თანდათანობით ჰქრებიან და წინა პლანზე გამოდიან კოლმეურნეობის შესანიშნავი გმირები. რჩება მხოლოდ ბონდო, იმდენად, რამდენადაც იგი ავტორს რომანის სუფეტის გასაშლელად სჭირდება.

სოცშეჯიბრება ავტორისთვის საინტერესოა არა იმდენად როგორც ახალი ფორმა, არამედ, რამდენადაც იგი ახალ ადამიანს ზრდის, ახდენს ადამიანის გარდაქმნას.

აი, მავალითად, ფარნასა და ესმას იმპერიალისტურ ომში ორი ვაჟკაცი შეილი მოუკლეს. მას შემდეგ მშობლების გულს სხივი აღარ უნახავს, ახალმა ყოფამ გარდაქმნა და ბედნიერმა ცხოვრებამ კი სიხარულით აავსო მოხუცი.

რომანში სწორადაა ასახული პარტიის როლი საკოლმეურნო მშენებლობაში. პარტიის წარმომადგენლები წერილობით, ბიუროკრატიულ ხელმძღვანელობას როდი ეწევიან, ისინი კოლმეურნეებს მხარდამხარ უდგანან, მათთან არიან, მუშაობენ, კონკრეტულ მითითებებს აძლევენ.

ავტორის ღირსება ისიცაა, რომ იგი ახერხებს უამრავ მომქმედ პირებიდან ყველანი ინდივიდუალური სახით მოხაზოს, ყველას საკუთარი ხმა მისცეს, მათი გარკვეული პორტრეტები დახატოს.

ავტორი უთუოდ კარგად იცნობს და ღრმად განიცდის გურიის პეიზაჟს, დაზილებულს ზღვის ჰავითა და ციტრუსოვანთა სინათლით. რომანის კითხვისას წინ იშლება ბუნება, თავისებური, მხოლოდ აღებული ადგილმდებარეობისთვის დამახასიათებელი პეიზაჟური ხედები.

ავტორს ზშირად მოხდენილად აქვს გამოყენებული გურული სოფლისთვის დამახასიათებელი ხალხური გამოთქმები, ეს შეგნებულად გამოყენებული ხერხი, რომანის მხატვრულ პორიზონტს კიდევ უფრო აფართოვებს, თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ავტორი ამ მიმართულებით აჭარბებს და ისეთ უგემურ

გამოთქმებს ანიჭებს ხანდახან მეტყველებითი უფლებებს, უწევს მხატვრულ რეკომენდაციას, რომლებიც არ არიან პოპულარიზაციის ღირსნი. მაგალითად, „მანციანი ბიჭი“, „შენ ნამეტან ნახუნავს ნუ არტყამ მაგ ფოკუსით“, — და მრავალი სხვა.

ჩვენ წინ ისმება ახალი საკითხი. რომანის ენის საკითხი. რომანის შინაარსი გურული სოფლის მიდამოებში იშლება. ცხადია, ენაც, დიალოგებში მაინც, კუთხური იერის იქმნება. ჩვენი ქვეყნის ცალკე კუთხეებში მოიპოვება სიტყვები, რომლებიც ზედმიწევნით და მეტის რეგულაციებით გადმოსცემენ ამათუიმ ცნების ნუანსებს. მათი მხატვრულ ლიტერატურაში შემოტანა ენას გაამდიდრებს, გაათავსებს ცნობიერების პორიზონტს.

ამ მხრივ „ლელი“ საყურადღებო ლიტერატურული მოვლენაა. მასში ქარბადაა მოცემული წმინდა გურული დიალექტი, მრავალია სიტყვები, რომლებიც ამათუიმ ყოფითი მოვლენის გამოსახულების ძალას აძლიერებენ. რომანში მათი შეტანა სავსებით კანონზომიერი და ლიტერატურულად გამართლებულია და, მაშასადამე — დასაშვებიც. მაგრამ საჭირო კი იყო ხმარებულ სიტყვების ახსნაგანმარტების დართვა წიგნის ბოლოში, თორემ მრავალი სიტყვა მკითხველისთვის გაუგებარი რჩება.

დასასრულ უნდა შევჩერდეთ რომანის მთავარ ნაკლოვანებებზე, რომლებიც უმთავრესად მიეწერება იმას, რომ იგი, როგორც აღვნიშნეთ, ავტორის პირველ ნაბიჯს წარმოადგენს.

ესაა, უპირველესად ყოვლისა, სუჟეტის გაუმწელობა, რომანის კვანძის მოუქნელობა, თავის ნაჭუჭში მოქცევა და აქედან გამოსავლის მონახვის სიძნელის ვრძობა. სშირად ავტორი ქმნის ხელოვნურ სიტუაციებს, რომლებიც ამუხრუჭებენ თხრობას, სუჟეტის ბუნებრივ დინებას. მაგალითისთვის აქ მხოლოდ ორ ადგილს დავასახელებ.

მთელი რომანის მანძილზე ქიშვარდი ვერ ახერხებს გაუმეღვენოს ციცი-ნოს თავისი გულისნადები, იტანჯება, ექვიანობს, თავის ქერქში იწვება. ავტორის მიზანდასახულობაც ასეთია: ეს მომენტი აქვს მას აღებული რომანის გაშლის ჭაფად. მაგრამ ამას აკლია დამაჯერებლობა, ბუნებრივობა. ასეთია, მაგალითად, იმ წერილის ამბავი, რომლითაც ქიშვარდის უნდოდა მასსა და ციცი-ნოს შორის არსებულ ურთიერთობის გარკვევა. უფრო მეტყველია მეორე მაგალითი; ახალგაზრდები სამუშაოდან ბრუნდებიან. ციცი-ნო ბონდოს გამოპყვება. ქიშვარდი სახლში მიდის. მას ბოლმა აღჩიობს. არ იცის სად წავიდეს და ციცი-ნო. ნუთუ ბონდოს ვაპყვა სახლში? და იწყება მისი ხეტიალი. ავტორმა გმირი როგორმე ციცი-ნოსთან უნდა მიიყვანოს, მაგრამ მეტად შორიდან უვლის. მიდის ჯერ სკაჩიასთან. გაიგებს, რომ კომკავშირის მდივანი სილოვანა მძიმე ავადია. მას თავს დასტრიალებს ექიმი სარდიონი. აქედან აგზავნიან სიპიტოსთან ყინულის მოსატანად. სიპიტოდან ოგი სეფესთან მიდის. ავადმყოფი ავიწყდება. და აქ თამაშობს ყვაილნარს, ყარყუმობიას და სხვ. მეტად გაჭიანურებული ამბავია. საერთოდ ავტორი სშირად მიმართავს უკანდახევის ხერხს, გარკვეული ამბის თხრობაში სრულიად სხვა ამბავს ურთავს და ეს ანელებს სუჟეტის გაშლას, აჭიანურებს თხრობას.

ვიმეორებთ ავტორს ჯერ ვერა აქვს დაუფლებული სუჟეტის გაშლის ოსტატობა. ამასთან დაკავშირებულია მრავალსიტყვაობა. ავტორი ვერ აღწევს ხანებით მხატვრულ თხრობისთვის აუცილებელ ლაკონიზმს, წინადადების

მოკვეთილობას, შემქმნელობას. შემდეგში ავტორმა ამ ნაკლს სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს.

ვეულგარულად, უგემურად გამოიყურებიან შედარებები, როგორცაა: „აინსავეით მიდგმული მკერდი“ (პუპულას შესახებ), „ქალიშვილების სიცილი თითქოს გაღაგანივით არტყია გარს ბონდოს“ და სხვა — ისეთი კარგი სახეების გვერდით, როგორც არის „ყურებდაცქვეტილი რცხილის ფოთლები“, „მოლურჯო ბოლში აჭაიქ ცეცხლმა ყურები ცქეიტა“, და მრავალი სხვა.

ავტორი ხშირად მიმართავს ისეთ დეტალებს, რომელთაც არავითარი ფუნქცია არა აქვთ რომანის განვითარებისთვის.


არც ასეთ ნატურალიზმამდე დასვლაა საჭირო, როგორცაა ვილაც ს. ვ...ძეს ბარათი მიწერილი ციცინოსადმი. ასეთი ადგილები რომანს წონას დაუკარგავს.

არაა გარკვეული დამკვრელი და შესანიშნავი მუშაკის ციცინოს ურთიერთობა ბონდოსა და ქიშვარდისთან. ციცინო თითქოს ორმაგ როლს ასრულებს.

თვით ქიშვარდი გადაქარბებული „ჰამლეტური“ სულსკვეთებითაა მოცემული ციცინოსთან ურთიერთობაში. ის მეტისმეტი ინტელექტუალური ეკვივანობითაა დატვირთული. ისეთ ვაჟკაცსა და ზნეობრივად მაღლამდგომ პიროვნებას, როგორც ქიშვარდია, გახრწნილ ბონდოს ფოკუსებიც შურს. ეს არ არის ბუნებრივი, დამაჯერებელი.

ავტორს კარგად აქვს დახატული რომანში თავდაცვა ავიაქიმის წრის მეცადინეობა, ბურთის თამაში. ამასთან დაკავშირებით დაუჯერებელია, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ჩვენს სოფელში ყვავილნართა და ყარყუმობიას თამაშით ირთობდეს თავს.

იმიტომ შეგჩერდით ამ ნაკლოვანებებზე, რომ ჩვენი მიზანია უთუოდ ნიკერმა ავტორმა რომანის შემდეგ ნაწილებში ისინი სავსებით დასძლიოს.



ს ტ ე ნ დ ა ლ ი

მიმდინარე წელს 97 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა საფრანგეთის ერთერთი უდიდესი მწერალი, გასული საუკუნის კრიტიკული რეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი, სახელგანთქმული რომანის „წითელი და შავის“ ავტორი, სტენდალი ფსევდონიმით ცნობილი ჰანრი ბელი.

ჰანრი ბელი დაიბადა 1783 წ. 23 იანვარს, გრენობლს, ადვოკატის ოჯახში. ბავშვობა ჰანრიმ საფრანგეთის ამ პროვინციაში გაატარა და საშუალო ცოდნაც აქ მიიღო. ჰანრის ბავშვობა არ იყო სახარბიელო, რადგან საყვარელი დედა ადრიანად გარდაეცვალა, ხოლო მამა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მას. აღმზრდელი კი ხშირად ცემდა პატარა ბავშვს და არ აძლევდა საშუალებას ბავშვთა წრეში გართულიყო. მამისა და აღმზრდელის არაადამიანურმა მოპყრობამ საგრძნობლად იმოქმედეს ჰანრის ხასიათსა და ორგანიზმზე.

ჰანრის ბაბუა (დედის მხრივ) პატიოსანი და მგრძნობიარე ექიმი ვერ ურიგდებოდა ადვოკატის ახირებულ მოქმედებებს, ჰანრის ტანჯვას და სკოლის გარეშე ყოფნას. პროვინციის ექიმი მეგობრების დახმარებით ახერხებს შვილის შვილის თავის მყუდრო ოჯახში გადმოყვანას და მზრუნველობის გაწევას. ექიმის დამ, გულკეთილმა და განათლებულმა ადამიანმა თავს იდგა ბავშვის აღზრდა-განათლების საქმე. ელისაბედის ხელში ჰანრი კითხულობს რომანებს, სწავლობს მათემატიკას და ბუნებისმეტყველებას. ეცნობა „ენციკლოპედისტების“ თხზულებებს, რომლითაც საესე იყო „მოხუცებული ექიმის“ ბიბლიოთეკა. სტენდალი გრენობლის „ცენტრალურ სკოლაში“ სწავლის დროს უკვე დიდროს, ჰელმჟციუსის, კონდილიაკის და სხვა ენციკლოპედისტების აზრების დიდი პატივისმცემელი და მქადაგებელი იყო. ბელის გრენობლის ცენტრალურ სკოლაში მათემატიკას იაკობინელი მასწავლებელი ასწავლიდა. მათემატიკის მასწავლებელი ჰანრის მათემატიკასთან ერთად მეფისადმი სიძულვილსა და რესპუბლიკისადმი სიყვარულს და ერთგულებას უნერგავდა. სტენდალი 10 წლის იყო. როდესაც საფრანგეთის მონარქს ლუი მე-16 რევოლუციონერებმა თავი მოჰკვეთეს. ამ ამბავს ჰანრი აღფრთოვანებაში მოჰყავდა. ჰანრის აგრეთვე უხაროდა რესპუბლიკანელების მიერ საკუთარი მამის დატუსაღება. სტენდალის მამა რესპუბლიკის წინააღმდეგ მოქმედებდა, იგი განხვეული იყო კონტრრევოლუციურ შეთქმულებაში. კონტრრევოლუციონერი მამა კი ჰანრის არ წამდა. ბელი, აღზრდილი აღმათლი ზურყუაზის იდეოლოგიების თხზულებებზე, სულით და გულით რესპუბლიკის მხარეზე იდგა.

1799 წლის 9 ნოემბერს, როდესაც ნაპოლეონი პირველი კონსული გახდა, 16 წლის ჰანრი ბელი გრენობლის „ცენტრალური სკოლის“ პირველხარისხოვანი ატესტატით პარიზში მიემგზავრებოდა. ახალგაზრდა ბელის სურდა მალე ენახა საფრანგეთის დიდი რევოლუციის მთავარი ცენტრი.

ჰანრის განზრახული ჰქონდა შესულიყო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მაგრამ პარიზის კაფე-შანტანებმა, ლამაზმა ქალებმა და დიდმა თეატრებმა მალე აცვლევინეს ახალგაზრდა ჰანრის თავის განზრახვა.

პარიზში ჰანრი სწავლობს მხატვრობას, ეწაფება მუსიკას და კითხულობს ნეკჰაპორს. პარიზის მკაცრმა ცხოვრებამ აიძულა ახალგაზრდა ბელი დაეწყო სამსახური, იგი მოეწყო სამხედრო სამინისტროში უბრალო მოხელედ.

1800 წელს ბეილი ნაპოლეონის ჯარის ნაწილებთან ერთად იტალიაში მიემგზავრება მადლაშქროდ.

რუსოს დიდი მოყვარული სტენდალი იტალიაში გამგზავრებას წინ ახერხებს უნევეაში გაველს და რუსოს საცხოვრებელი ბინის, ნახვას.

17 წლის სტენდალი მონაწილეობას იღებს იტალიის აღებაში. იაკობინელების დამარცხებით გულგატეხილი და ნაპოლეონზე აღრენილი ბეილი ტკბება იტალიის მშენიერი ბუნებით. იტალიის ძველმა კულტურამ და ლამაზმანებმა შემდეგში დიდი გავლენა იქონიეს სტენდალის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

1803 წელს, 15 აპრილს, იტალიიდან დაბრუნებული სტენდალი პარიზის მთავარნიღოვანში შეეკვსე საოთულზე ქირობს პატარა ოთახს და იწყებს მყუდრო და მოსვენებულ ცხოვრებას. აქ ბეილი 12 საათზე მეტ დროს წიგნების კითხვაში ატარებდა. კითხულობდა საბერძნეთისა და რომის ისტორიკოსთა და ფილოსოფოსთა ნაწერებს. ბეილის განსაკუთრებით უყვარდა პლუტარქის, და დიდებული ფრანგი ფილოსოფოსის „გამანათლებელის“ ჰელვეციუსის „გონების“ შესახებ დაწერილი წიგნების კითხვა.

მატიერიალურმა ცხოვრებამ და სიყვარულმა ბეილი აიძულეს ღროვებით პარიზი დაეტოვებინა და მარსელში უბრალო ნოქრად მოწყობილიყო.

1806 წელს, 27 ოქტომბერს, მარსელის ნოქარი ნაპოლეონის ბრძანებით მიემგზავრება ბერლინში, სადაც ლეზულობს სამხედრო კომისრის მოადგილედ დანიშნვის ქალაქს. ბეილიმ კარგად იცოდა ბერძნული, იტალიური და ინგლისური ენები. ბერლინში კი ხელი მოკიდა გერმანული ენის შესწავლას. გერმანული ენის შესწავლის შემდეგ იგი კითხულობს კანტის ფილოსოფიის ნაწერებს და ეცნობა ძველ გერმანულ ლიტერატურას.

1811 წელს, 29 აგვისტოს, ბეილი იღებს შევებულებას და მიემგზავრება თავის საყვარელ იტალიაში. ამავე წელს ბრუნდება პარიზში, მაგრამ უკვე აღარ ეკარება სალონებს, ეზიზღება პარიზის მაღალი საზოგადოების ცხოვრება და დესპოტი ნაპოლეონი, რომელმაც არ გაამართლა სტენდალის იმედები. პარიზში დაბრუნებული ბეილი საფუძვლიანად სწავლობს დოქტორ კაბანისის შრომებს; ღრმად იხედება ადამიანის სულში და ემზადება სამწერლო ასპარეზზე გამოსასვლელად.

1812 წელს ბეილი იძულებული შეაქმნა ლუკმა-პურის მოპოვებისთვის კვლავ სამსახურის ძებნა დაეწყო. ამ დროს ნაპოლეონი აგროვებდა ჯარს რუსეთში გასალაშქრებლად. ბეილი ჩაირიცხა ნაპოლეონის არმიისაში. ამ შემთხვევამ ჰანრი გახნა ბოროდინოსთან მომხდარ ბრძოლების მოწმე. ბეილი აღფრთოვანებული იყო რუსეთის ხალხის სიმამაცით, განცდიდებულნი იყო მათი თავდადებითა და გმირობით. ბეილი მოსკოვში დამარცხებულ საფრანგეთს, ჯარს უკან გაჰყვა როგორც მომმარაგებელი, ეს მოვალეობა მას პირადად ნაპოლეონმა დააყენა.

საფრანგეთში დაბრუნებული ჰანრი თავს ანებებს სამსახურს და კვლავ მიემგზავრება მილანში.

1814 წელს გამოვიდა ბეილის პირველი წიგნი, რომელიც მან მილანში დაწერა. წიგნი ეხება გაიენის, მოცარტისა და მეტსტაზიოს ცხოვრებას. წიგნი არსებითად გადმოცემულია სტენდალის მუსიკალური განცდები. ამ წიგნის გამოსვლის ორი წლის შემდეგ, ე. ი. 1816 წელს, ბეილი მილანში გაიქცო ინგლისელი დიდი პოეტი ბაირონი. ბაირონი და ბეილი მილანის თეატრის ფოიეში მთელი საათობით ლაპარაკობდნენ, აფასებდნენ მდგომარეობას და ეშვადებოდნენ კარბონარების სამხედრო რევოლუციონურ ორგანიზაციაში მონაწილეობის შესაძლებლობას. კარბონარების ორგანიზაცია ჩამოყალიბდა ჩრდილოეთ იტალიაში. ეს ორგანიზაცია მიზნად ისახავდა იტალიის ხალხს გათავისუფლებას უცხო სახელმწიფოთა მონობისაგან. ბაირონი და ბეილიმ კარბონარების ნაციონალურ გამათავისუფლებელ მოძრაობას შერი დაუჭირეს, ნიშნად ამისა კარბონარებმა მათ მიართვეს თეთრი აკაციის შტო — სიმბოლო მონარქიის სიძულვილისა და თავისუფლების სიყვარულისა. მილანი ბაირონსა და ბეილის დროს გარდაიქცა რევოლუციურ ცენტრად, აქ მოქმედებდა ბაირონის ხელმძღვანელობით „ძველი რომის საზოგადოება“, ანუ „რომანტიკოსთა საზოგადოება“. ამ საზოგადოების წევრი იყო ჰანრი ბეილიც. მილანში სტენდალის მონაწილეობით უნდა გამოსულიყო ბაირონის ანტიკლერული ჟურნალი „წითელი დროშა“. ჟურნალის გამოსვლას ხელი შეუშალა მოლიციამ, რომელმაც აღმოაჩინა სტამბა, დაშალა აწყობილი მასალა და დაატუსაღა შეშები.

1818 წელს გამოიცა „რომანტიკოსთა საზოგადოების“ მანიფესტი, ამ მანიფესტის ავტორს დიდხანს ეძებდა ევროპის პოლიცია. როგორც ახლა ვამოიხრევა იგი ეკუთვნოდა სტენდალის კალამს. მანიფესტს უსწრებდა „იტალიური მხატვრობის ისტორია“ (1817 წელი). ამავე წელს გამოვიდა „რომი, ნეაპოლი და ფლორენცია“. იტალიურ მხატვრობის ისტორიაში ბეილი კარბონარების მხარეზეა, ამ წიგნში იგი აშკარად გამოსთქვამს სიძულვილს მონარქიისა და ეკლესიის მიმართ. „რომი, ნეაპოლი და ფლორენციას“ ავტორი დიდი ხნის განმავლობაში მეტერნიხის პოლიციის ძებნის ობიექტი იყო. ავტორი ამ წიგნისა პოლიციის განკარგულებით ავსტრიის იტალიის ტერიტორიაზე დატუსაღებისთანავე სასამართლოს ვარეშე სიკვდილით უნდა დასჯილიყო.

1872 წელს ბეილი მეორეჯერ გაემგზავრა ლონდონში. მას სურდა შექსპირის დრამებში თავის საკუთარი თვალით ენახა მსოფლიო ტრაგიკოსი ულამაზესი მსახიობი კინი. ბეილი ლონდონში მიღებულ მთაბეჭდილებით დაბრუნებული პარიზში სწერს მეტად საინტერესო წიგნს „სიყვარულზე“.

1828 წელი სტენდალის ცხოვრებაში არის ყველაზე მძიმე პერიოდი. პარიზის ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილი ჰანრი გააფთრებით ეძებს ლუკმა პურის მოპოვების საშუალების წყაროს. მისი თხოვნა სასახლის ბიბლიოთეკაში სამუშაოდ მოწყობაზე უარით იქნა დაკმაყოფილებული. მძიმე მატერიალურმა მდგომარეობამ ბეილი მიიყვანა თვითმკვლელობის განზრახვამდე. სიკვდილს შეთხვევით გადარჩენილი ბეილი იწყებს მის დიდ რომანზე „წითელსა და შავზე“ მუშაობას. რომანი „წითელი და შავი“ პირველად გამოვიდა 1830 წელს. ამ რომანის მთავარ გმირში, ხალხის წრიდან გამოსულ უულიენ სორელში, სტენდალმა ჩააქსოვა თავის პოლიტიკურ შეხედულებათა მთელი აზრები.

1830 წელს გამოდის სტენდალის მეორე დიდი რეალისტური რომანი „პარმის საგანე“, რომლის დაწერის დროს სტენდალი მთელ დღეებს სახლში ატარებდა. დაუღალავი შრომის შედეგად 1839 წ. 28 მარტს სტენდალს ხელში ეკავა რომანის ჯერ კიდევ სველი პირველი ეგზემპლარი. ამ რომანმა დიდი გავლენა იქონია რუსეთის გენიალურ მწერალ ლევ ტოლსტოიზე.

„ომსა და მშვიდობიანობაში“ აწერილი ბოროდინოს ბრძოლები „პარმის საგანის“ ზეჯავლენითაა დაწერილი. სტენდალის კალამს ეკუთვნის სხვა ღირსშესანიშნავი წიგნებიც. მაგალითად: „წითელი და თეთრი“ (დაუმთავრებელი რომანი), „გავლა რომით“, „ტურისტის შემთარები“, „ეგოტისტის მოგონებანი“, „რასინი და შექსპირი“, „ქრონიკები“ და ძვირფასი მოგონება ბაირონზე. საერთოდ, სტენდალმა დაგვიტოვა უამრავი, მეტად მნიშვნელოვანი ნაწერები.

ბურჟუაზია არასდროს არ აფასებდა სიმართლის მოყვარულ მწერალს. სტენდალის მაღალი მხატვრული ღირებულების რეალისტური რომანები, პუბლიცისტურ-მხატვრული თხზულებანი, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მიერ იქნა ჯეროვანად შეფასებული. საბჭოთა კავშირში 20 წლის განმავლობაში გამოიცა სტენდალის ნაწერების ნახევარ მილიონზე მეტი ეგზემპლარი იმ დროს, როდესაც საზღვარგარეთ 100 წლის განმავლობაში — მხოლოდ 50 ათასი ცალი.

ბურჟუაზიული საზოგადოების მიერ მოძულეებული სტენდალი გარდაიცვალა 1842 წელს 23 მარტს. სტენდალის ცხედარს მონ-მარტრის სასაფლაოზე მიაცილებდა პროსპერ მერიმე, ალექსანდრე ივანეს ძე ტურგენევი და ორი უცნობი მეგობარი.

3ლ. ჯიჯუბი.

• ბიბლიოგრაფია *

კონსტანტინე ლორთქიფანიძე — „უკვდავება“

გამომცემელი სახლი ბაგნი. 1938 წ.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე არის თანამედროვე ქართული პროზის ერთი საუკეთესო ოსტატთაგანი, რომელიც გამოირჩევა მახვილი მხატვრული თვალთა და დიდი ლირიკული მგონობელობით. ყოველი მისი ნაწარმოები მკითხველის ყურადღებას იპყრობს. უშუალობა ცოცხალი ადამიანებისა, რომელშიაც იგრძნობა ადამიანური ძალა და სისუსტე; დადებითი და უარყოფითი მხარე. ლორთქიფანიძის ცოცხალ სახეებში ჩვენ ვხედავთ შეუღამაზებელ, უშუალოდ და მხატვრული ორიგინალობით დახატულ ადამიანებს დამაჯერებელი ხასიათითა და სულიერი სამყაროთი, ადამიანებს, რომლებსაც აქვთ საკუთარი ბიოგრაფია და, რომლებიც იბადებიან და თანდათანობით სრულყოფილი ხდებიან ძველისა და ახლის ბრძოლაში.

საინტერესოა და მიმზიდველი მისი თხრობის მანერა. იგი პრინციპულად არასოდეს არ მიისწრაფვის იქითკენ, რომ ყველაფერი სთქვას, ყველაფერი აღწეროს. დაკვირვებული მხატვრის თვალთ არჩევს და გამოჰყოფს მთავარსა და საინტერესოს, რომლებიც ყველაფერს აგრძნობინებს მკითხველს, იპყრობს და გარკვეული გზით მიმართავს მის აზრს. „საინტერესოს“ მწერალი ხშირად წერილმანებიდან, პატარა ამბებიდან იღებს, მაგრამ მათ ისეთ მხატვრულ ასპექტში ამუშავებს და ანზოგადებს, რომ აქედან ჩვეულებრივი მკითხველი ძალიან ადვილად მიდის დიდ მოვლენების გაგებასა და ღრმად გააზრებამდე.

ამაში კონსტანტინე ლორთქიფანიძის, როგორც პროზაიკოსის ძალა, მის ნაწარმოებთა გამარჯვების საიდუმლოება.

განსაკუთრებული კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ლორთქიფანიძემ ძალიან სწრაფად მიაღწია საკუთარი მხატვრული სტილის (ამ სიწყვის ეიწრო გაგებით) ჩამოყალიბებას. როდესაც კითხულობთ მის ნაწარმოებს, ან რომელიმე ფრაზას, დიალოგს მაშინვე გრძნობთ, რომ ეს მხოლოდ მას ეკუთვნის. მის ფრაზას ახასიათებს ლორთქიფანიძისებური, საკუთარ გემოვნებაზე შემუშავებული მხატვრული კონსტრუქცია, ხმოვანება, სიტყვის მოქნევა. მწერალი ფრაზის მშენებლობის დროს დიდ ყურადღებას აქცევს სმენას, ხმოვანებას, შინაგან მუსიკალობას. ამიტომ იგი ყოველთვის გამოირჩევა სხვისაგან და ბოლომდე ინარჩუნებს დამოუკიდებელ, საკუთარ ხმას.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის ფრაზა უდაოდ მხატვრულია — სადა, დახვეწილი, ლაქონური, მდიდარი შედარებებით, სახეებით, მოხდენილი თქმებით და ამავე დროს დინამიური.

ყველა ეს ღირსება მწერალს, ძალიან უხვად აქვს გამომჟღავნებული უკანასკნელ ნაწარმოებებში — „უკვდავება“ (ბელორუსული მოთხრობები). ეს არის მხატვრული ოსტატობით გააზრებული და შესანიშნავად დაწერილი მოთხრობები, რომლებიც არა მარტო ავტორის შემოქმედების, არამედ მთელი ქართული მხატვრული პროზის აქტივში შედის. „უკვდავება“ ეკუთვნის იმ რწმინათ ნაწარმოებთა რიცხვს, რომელნიც კითხვის დროს „აფორიატიზებენ“ მკითხველის სულს, დამთავრების შემდეგ უსაზღვრო კმაყოფილებას ჰგვრინან და ძალიან დიდხანს იპყრობენ მის გონებას, აქცევენ უხვ და ძლიერ შთაბეჭდილებათა ლაბირინტში.

1937 წელს კონსტანტინე ლორთქიფანიძემ სხვა ქართველ მწერლებთან ერთად იმოგზაურა ბელორუსიაში. იქ მწერალი ვაცნო განახლებულ, ძლიერინებულ სოციალისტურ ბელორუსიის მიღწევებს, მის წარსულსა და აწმყოს. ამ მოგზაურობის დროს მწერალი გას-

ცნობია და დაკავშირებია ყოფილ პარტიზანს — გნედას. გნედას უშუალო მონაწილე ყოფილა ბელორუსიის ხალხის იშვიათი გმირობისა სამოქალაქო ომის წლებში და მოუთხოვდა მწერალს „ომგადახდილ მამაკაცების ამბავს, იხსენებდა თავდადებულ მეზობლებს, კირი რომ ნახეს და ლხინი დასცალდათ“.

გნედას ნაამბობი დასდებია საფუძვლად „უკვდავებს“. ლორთქიფანიძე დიდათ გაუტაცნია მოხუცი გლეხის — რუხლოს თავგადასავალს და ეს გამხდარა მიზეზი ამ მოთხრობის დაწერისა. მაგრამ ჩვენის აზრით ეს იყო მხოლოდ „უბრალო“ მიზეზი, იმ წვერის გამოჭრა, რომლის საშუალებითაც მთელი გორგალი გამოხსნა შეიძლებოდა. „უკვდავება“ შთაგონებულია ბელორუსი ხალხის წარსულითა და ბედნიერი აწმყოთი. იგი წარმოადგენს ზოგად ტიპიურ მხატვრულ ნაწარმოებს, რომელშიც კონკრეტული ადამიანები ატარებენ შემკრებ ხასიათებს. აქ არცერთი ტიპი არ არის ნატურალისტურად აღწერილი, ისინი სინამდვილიდან არიან აღებული, მაგრამ აღებულია ისე, როგორც შესანიშნავი მოქანდაკე იღებს ბუნებრივ მარმარილოს, ან ჩვეულებრივ ძვირფას ქვებს და იქიდან შესანიშნავ სახეს გამოჰკვეთს.

„უკვდავება“ ოთხი მოთხრობისაგან შესდგება, მაგრამ მათი პერსონაჟური ერთობლივობა, თანმიმდევრობა და ტიპების თანდათანობითი დასრულება მიმდევრობით მოთხრობებში, ოთხივე მოთხრობის მოქმედ პირთა ურთიერთობაში ზუსტი მხატვრული კანონზომიერების დაცვა მათ ერთ მთლიან ნაწარმოებად ხდის.

ნაწარმოების სიუჟეტური რკალი მსოფლიო და სამოქალაქო ომების ფონზე იშლება. მწერალი იწყებს მსოფლიო ომის პერიოდის ბელორუსული სოფლისა და წელში გატეხილი გლეხების მდგომარეობის ასახვით. იგი მკაფიო ფერებით ხატავს ბელორუსული სოფლის გარეგნობას, მის ბუნებას, პეიზაჟს. მაგრამ ხატავს ისეთი მხატვრული ოსტატობით, რომ თქვენ გრძნობთ ობიექტის კოლორიტულ თავისებურებას, ბელორუსიის ბუნებრივ სიმშვენიერეს, სილამაზეს და გამოუყენებელი, ოხრად დარჩენილი სიმიდირის წყაროს უსაზღვროებას და მშრომელი გლეხობის დუხპირ და აუტანელ ყოფას, ძველი, იმპერიალისტური ომის პერიოდის სოფლის ჯოჯოხეთურ სულიერ სიცილიერეს.

იმპერიალისტურმა ომმა დააცარიელა სოფელი, დარჩნენ მხოლოდ მოხუცები, უმწერ ბავშვები და დედაკაცები. ეკონომიურმა გაჭირვებამ და პოლიტიკურმა შევიწროვებამ წელში გატეხა ხალხი. იწყება სამოქალაქო ომი და სიმათლე დიდი გაჭირვებით, მაგრამ ძლევამოსილად იკაფავს გზას, იგი იჭრება ხალხში. ისიც კი, ვინც თავის კარმიდამოს იქით ვერ იხედებოდა, ვისაც გამვალტყავებული ცხენი და ერთი მტკაველი მიწა ერჩია ქვეყანას, რომელსაც არაფერი გაეგებოდა პარტიზანების ბრძოლისა და არ სწამდა მომავალი, ყველაფერს შიშითა და კანკალით უყურებდა, რწმუნდება, რომ არ არის სხვა გამოსავალი. გარდა იმისა, რომ მხარი დაუჭიროს პარტიზანებს და გაბედულად ებრძოლოს თეთრებს.

წვირილი კერძო მესაკუთრე გლეხი, რომელიც ყველაფერს უშუალო სარგებლიანობისთვის თვალთ უყურებდა, რომელიც ძრწოდა და კანკალებდა ყოველგვარ ახლისა და გაბედულის წინაშე, რომელსაც ვერ წარმოედგინა ბედნიერება საკუთარი ბედნიერების ვარჯშე, რწმუნდება ბოლშევიკების ბრძოლის სიმათლეში, გაბედულად მოქმედებს და ნამდვილ სახალხო გმირსავეთ სწირავს თავს ხალხის მომავალ ბედნიერებას. სოციალისტურმა რევოლუციამ ადამიანების გონებაშიაც შეიტანა სხივი და უჩვეულოდ გააშუქა ის.

ასეთი ადამიანების მხატვრული პროტოტიპებია ბაბუა რუხლო და მისი შვილი მიხასი.

ბაბუა რუხლო ღრმად მოხუცებულია. უფროსი ვაჟი იმპერიალისტურ ომში დაეღუპა, მეორე ვაჟი — მიხასიც ჯარში გაიწვიეს და ოჯახში დარჩა ღრმად მოხუცებული რუხლო, რძალი და ნორჩი შვილიშვილი, რომლებიც ხმის აუმაღლებლად იტანდნენ საშინელ გაჭირვებასა და შევიწროებას. ბაბუა რუხლოს გონება დაუსრულებლად ტყვედ ჰყავს მიწაზე და ცხენზე ოცნებას, მაგრამ განა კი შეუძლია რუხლოს სერიოზულად ფიქრი იმაზე, რომ ოდესმე მისი ოჯახი ცხენსა და მიწას იშოვის და ნაწილობრივ შინიც დააღწევს თავს გამანადგურებელ სიღატაკეს. და, აი, — როცა ომში დაჭრილი მიხასი ლაზარეთიდან გაიპარა იმისი შიშით, რომ მოკეთების შემდეგ კვლავ ფრანტზე არ გაეგზავნათ, და თან მოუყვანა მომავლადი ცხენი, რუხლოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მაგრამ ეს სიხარულიც ხანმოკლე და უშედეგო აღმოჩნდა, ცხენი თეთრებმა წაართვეს ისევ.

ბაბუა რუხლო და მისი შვილი თანდათან ხვდებიან, რომ გამოსავალი არ არსებობდა, გარდა იმისა, რომ მათაც თოფი აეღოთ ხელში და პარტიზანებთან ერთად დაეწყათ ბრძოლა. ცოტა უდრე მამა და შვილი ღარიბი გლეხის — პარტიზან გნედას ბრძოლას გულ-

გრილად ეწეობდნენ. ბაბუა რუხლომ უბოძო უარი უთხრა პისკუნს დაქრილი გნედას რა-
მოდენიმე დღით სახლში დამალვაზე, მაგრამ შემდეგ თვითონ მიხვდნენ, რომ ყველა გზებს
ცხინი გნედასა და პისკუნთან მიჰყავდათ. მიხასი პარტიზანი გახდა, იგი შეუპოვრად იბრ-
ძოდა პისკუნის ხელმძღვანელობით, ბაბუა რუხლო კი ჩუმად იარაღს შოულობდა და პარ-
ტიზანებს აწვდიდა დასასრულ მოხუცი გასაოცარ სიმამაცეს იჩენს, ტუჩებზე ღიმ გაუქრობ-
ლად სწირავს თავს თავისუფლების საქმეს.

აქ დიდებულად არის ვადმოცემული თუ, როგორ აამაღლა რევოლუციამ ჩვეულებრივი
გლეხი თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნებად და როგორ გააცოცხლა მასში
მიძინებული გმირული სული. ამ მოთხრობების მთავარი აზრი სწორედ ესაა.

ბელორუსულ მოთხრობებში შესანიშნავად არის დახატული მებრძოლ რევოლუციო-
ნერთა ტიპებიც — პარტიზანი გნედა და მისი ახალგაზრდა მეგობარი, შემდეგ პარტიზა-
ნული რაზმის მეთაური პისკუნი. სოციალური და ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით არის
მოცემული აგრეთვე გლეხური ფენიდან გამოსული, ბნელი მახინციებით გამდიდრებული
პაპავეცი, რომელიც არის ფურთგვარდიელთა ბანდების დასაყრდენი სოფელში.

„უკვდავება“ არის შესანიშნავი მოთხრობა გმირობასა და პატრიოტიზმზე, ადამიანების
გარდაქმნაზე. იგი დაწერილია ბელორუსი ხალხის მასალაზე, მაგრამ აქ ყველა ერისა და
ხალხის თანამედროვე მკითხველი ცოცხლად დაინახავს და იგრძნობს თავისი წინაპრების
გმირულ ცხოვრებას, რომლებმაც სიყვარულით და ვაჟკაცურად მოუტანეს თავი მსხვერპლად
ბედნიერ მიმავალს. აქ იგრძნობა მთელი საბჭოთა ხალხის წარსული გმირული ცხოვრება,
რომელიც არის ამაყი პიედესტალი გამარჯვებული სოციალიზმის ბრწყინვალე სახისა.

მრ. ანტონოვიჩი.

1939 წ. იანვრიდან „ჩვენი თაობა“ გამოცემის
ყოველთვიურად

ხელის მოწერის პირობები:

წლიურად	18 მან.
ნახევარი წლით	9 „
ცალკე ნომერი	1 მ. 50 კ.

ხელის მოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიაში, სოიუზპეჩატის
რაიბიუროებში და სახელგამის პერიოდ-სექტორში.

შედაძვიის მისამართი:

ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13, მწერალთა კავშირი.